# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 12 ივნისი 2006 №132 (2754) ფასი 50 თეთრი




AFP





AFP

## დედამიწაზე უქმე გაუქმდა

## პატარა ბურთმა დიდი ბურთი თავის ჭკუაზე დაატრიალა

### ბრავოს საქმენი საბრავონი



AFP



AFP

— პარაგვაელმა კარლოს გამარამ უსწრაფესი ავტოგოლი გაიტანა მუნდიალების ისტორიაში.

— ტრინიდადელი ევერი ჯონი პირველი გაძევებულია ამ ჩემპიონატზე.

— მწვრთნელ მარკო ვან ბასტენისთვის პირველივე დიდი ტურნირი მსოფლიოს ჩემპიონატია და პირველივე მატჩი მოიგო, მისმა შეგირდმა არიენ რობენმა კი საუცხოოდ ითამაშა...

ეს და უამრავი სხვა ცნობა ელვის სისწრაფით ვრცელდება მთელ მსოფლიოში და ყველგან, სადაც კი არის ინტერნეტი, ტელევიზორი და იბეჭდება გაზეთი, მოუთმენლად ელიან და აინტერესებთ ცნობები მსოფლიოს ჩემპიონატიდან.

აინტერესებთ საქართველოშიც. აქ მართლა აინტერესებთ და უყვართ ფეხბურთი. თუმცა ალბათ მხოლოდ საქართველოში თუ შეიძლება, ამა თუ იმ გუნდს პროფესიული ნიშნით ქომაგობდნენ. ესა და ეს ბანკი ქომაგობს ამას, ის რესტორანი ქომაგობს იმას...

ამავე დროს სულაც არ არის ცუდი, რომ თბილისში დაჰქრიან ბრაზილიის თუ იტალიის დროშებით შეიარაღებული ავტოკოლონები და გახსენებენ იმას, რასაც შეხსენება, კაცმა რომ თქვას, არც სჭირდება — მსოფლიოს ჩემპიონატი ხურდება.

საინფორმაციო სააგენტოები კი უწყვეტად გვამცნობენ, რომ...

— მექსიკელი ბრავო თავისი დუბლით გაუტოლდა თანაბომბარდირებს მიროსლავ კლოზესა და პაოლო ვანჩოპეს.

— მსოფლიოს ჩემპიონმა ფელიპე სკოლარიმ მოგებით დაიწყო...

# მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

## D ჯგუფი. I ტური

# ფიგუ ჯგუფურ თეორიაში ჩაიჭრა




AFP კოლექციდან

**თამაში** ის იყო დაიწყო, რომ ლამის უსწრაფესი გოლის მნახველნი შევიქენით. პაულეტამ ცენტრში გათამაშებული ბურთი მიიღო, მცველი გვარიანად ჩამოიტოვა და კარისკენ გაისროლა. კუთხე მახვილი იყო და ოდნავ აცდა, თუმცა არც ისე მახვილი გახლდათ, გატანა გმირობად რომ ჩათვლოდა.

სადღაც, მეოცე წამი მიდიოდა.

პაულეტამ თავისი გოლი სამ წუთში მაინც გაიტანა. ამ ჯერზე ლუიშ ფიგუმ მოატყუა მცველი და პაულეტას საგოლედ უპასა.

და რით უპასუხეს უსწრაფეს საგოლე მომენტს და სწრაფ გოლს? ვერაფრით. ტაიმის ნახევარი ისე მილია, ანგოლელები ყოფილი კოლონიზატორების ნახევარზე ფაქტობრივად არ გადასულან. ამის შემხედვარე, ჩვენი ფიქრი იმ მიმართულებით წავიდა, როგორ გაალწია ასეთმა უნდილმა გუნდმა მუნდიალზეო. ამის გასახსენებლად არ დავიზარეთ და შესვენებისას საიტში ჩავიხედეთ: ანგოლამ შესარჩევ ჯგუფში ნიგერია, ზიმბაბვე, ალჟირი, გაბონი და რუანდა ჩატოვა.

თუმცა იმ დროისთვის, ანუ ტაიმის მეორე ნახევარში, ანგოლა სულაც აღარ ტოვებდა უსუსური გუნდის შთაბეჭდილებას. კი, კლასით უწინდებურად ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ ცოტა გამოერკვა და რამოდენიმეჯერ კარგადაც შეუტია. ხოლო თუ გამორჩევაზე მიდგა საქმე, ფაბრის აკვას ორი მაკრატელა და ანდრეს ლონივრული და მეკარის ძოლივს მოგერიებული დარტყმა შეგვიძლია გავიხსენოთ.

ოღონდ ისიც ვთქვათ, რომ უკეთესი მომენტი ისევ პორტუგალიელებს ჰქონდათ: ფიგუს ჩაწოდებულ კუთხურს კრიშტიანუ რონალდუმ თავი დაჰკა და ხარიხას გაარტყა.

მეორე ტაიმში ვითარება ანგოლელთა სასიკეთოთ კიდევ უფრო შეიცვალა. თამაში გათანაბრდა, ყოფილი მეტროპოლის კარგ მომენტებს კი ვერ ვიხსენებთ. ერთიორჯერ კი შეაფუცხუნეს ანგოლელთა მეკარე ჟოაო რიკარდო, მაგრამ საპირველტაიმო მომენტებთან შედარებაც არ შეიძლებოდა.

მთლიანობაში, მონდომების მიუხედავად, ანგოლამ ვერ გაგვიქარწყლა აზრი მისი აუტსაიდერობის თაობაზე, ხოლო პორტუგალიამ ვერ დაგვიტოვა იმ გუნდის შთაბეჭდილება, ჩემპიონობა რომ შეუძლია. ოღონდ ისიც არის, რომ პირველი თამაშით დასკვნების გამოტანა მთლად სწორიც არ არის და ფიგუც ამას ამბობს: „ჩვენ უკეთესადაც შეგვეძლო გვეთამაშა, თუმცა შედეგით კმაყოფილები ვართ. მიზნად სამი ქულის მოპოვება გვქონდა დასახული, რისი მიღებაც 1:0-ითაც ისევე შეიძლება, როგორც 5:0-ით. მეორე ტაიმში ანგოლა დიდი შემართებით გვეთამაშა და სისწრაფის ხარჯზე შეგვავიწროვა. მეორე მხრივ კი, საგოლე მომენტები ჩვენ მეტი გვქონდა. ახლა ირანს უნდა მოვუგოთ და ჯგუფიდან გავალთ."

პორტუგალიის ჯგუფიდან გასვლისა, ვფიქრობთ, ყველას გვჯერა, თუმცა სიზუსტისთვის ვთქვათ, რომ თეორიულად პორტუგალია ირანის დამარცხების შემთხვევაშიც შეიძლება ჩარჩეს ჯგუფში. ისე კი, ლუიშ ფიგუ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

მეგოლე პაულეტამ კი თქვა, პირველი თამაში ყოველთვის რთულია, მით უმეტეს, მეტოქემაც ძალიან კარგად ითამაშაო.

**გიორგი დარჯანია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მექსიკა | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| პორტუგალია | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ანგოლა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ირანი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |

## ანგოლა 0:1 პორტუგალია

№8. 11 ივნისი, 23.00. კიოლნი. „რაინენერგიშტადიონი". 45 000 მაყურებელი

0:1 პაულეტა (4)

1 ჟოაო რიკარდო

მწვრთნელი
ლუიშ გონსალვეში

3 ჟამბა, 5 კალი, 20 ლოკო, 7 ფიგეირედო

17 ზე კალანგა, 8 ანდრე მაკანგა, 21 დელგადო

11 მატეუში, 14 მენდონკა

10 აკვა

9 პაულეტა

11 სიმაო, 7 ფიგუ, 17 კ. რონალდუ

19 ტიაგუ, 8 პეტიტი

14 ნუნუ ვალენტე, 16 რ. კარვალიუ, 5 ფ. მეირა, 13 მიგელი

მწვრთნელი
ლუიშ ფელიპე
სკოლარი

1 რიკარდუ

შეცვლა: აკვა – 9. მანტორაში (60), რონალდუ – 6. კოშტინია (60), ზე კალანგა – 13. ედსონი (70), პეტიტი – 18. მანიშე (72), ფიგეირედო – 6. მილოი (80), ტიაგუ – 10. უგო ვიანა (83)

გაფრთხილება: რონალდუ (26), ჟამბა (28), ლოკო (48), ანდრე მაკანგა (52), ნუნუ ვალენტე (79)

მსაჯები: ხორხე ლარიონდა; ვალტერ რიალი, პაბლო ფანდინო (ურუგვაი)

| | | |
|---|---|---|
| 29 | ჯარიმა | 20 |
| 2 | კუთხური | 5 |
| 11 | კარისკენ დარტყმა | 16 |
| 3 | კარში დარტყმა | 8 |
| 1 | თამაშგარე | 0 |

## დღეს. E ჯგუფი. I ტური

# ტონი არ გათავხედდა

### იტალია — განა

ჰანოვერი. „AWD არენა". 23.00

1. ბუფონი; 22. ოდო, 13. ნესტა, 5. კანავარო, 3. გროსო; 16. კამორანეზი, 21. პირლო, 4. დე როსი; 10. ტოტი, 9. ტონი, 11. ჯილარდინო
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი

1. აჯეი; 5. მენსა, 15. პანცილი, 4. კუფური, 6. პაპოე; 11. მუნტარი, 8. ესიენი, 10. აპია, 18. ე. ადო; 3. გიანი, 14. ამოა
მწვრთნელი: რატომირ დუიკოვიჩი

მსაჯი: კარლოს სიმონი (ბრაზილია)

**მუნდიალის** ერთ-ერთი ფავორიტი, სამგზის ჩემპიონი იტალია, ისტორიაში თავის მე-16 კამპანიას დღეს იწყებს. გუნდი, რომელსაც აფრიკელ მეტოქესთან არასოდეს წაუგია და ბოლო 18 თვეა, ყველასთან ასეთივე შედეგი აქვს, განას ხვდება. რა პრობლემებით მოვიდნენ იტალიელები ამ ორშაბათამდე? დაუშავდათ შუა ნახევარმცველი ჯენარო გატუზო და მარცხენა მცველი ჯანლუკა ძამბროტა, შემტევი ნახევარმცველი, ან, თუ ასე უფრო მოგწონთ, ოდნავ უკან დაწეული თავდამსხმელი. ფრანჩესკო ტოტი კი მძიმე ტრავმის მერე ძველებურ ჯანზე ვერ არის. სამაგიეროდ, გამოჯანმრთელდა და მოედანზე იქნება ცნობილი ცენტრალური მცველი ალესანდრო ნესტა.

ზემოთ ვახსენეთ, რომ ტოტი ძველებურ ჯანზე ვერ არის, მაგრამ სულაც არ არის გამორიცხული, მარჩელო ლიპიმ იგი მაინც ამჯობინოს ალესანდრო დელ პიეროს.

„ტოტიზე ამბობენ, რომ შესაძლებლობების 70 პროცენტითაა მზად. მე ასი პროცენტით გახლავართ მომზადებული, მაგრამ მერწმუნეთ, ჩემსა და ფრანჩესკოს შორის არანაირი დუელი არ არის. ორივენი ლიპის განკარგულებაში ვართ და როგორც მწვრთნელი ჩათვლის საჭიროდ, ისე მოვიქცევით — განაცხადა დელ პიერომ, შემდეგ კი დასძინა — განასთან შეხვედრაში ჩვენთვის სამი ქულაა მთავარი და არა კარგი შთაბეჭდილების მოხდენა. აფრიკელებთან პირველი მატჩი შეიძლება ჩვენს უმძიმეს შეხვედრადაც კი ჩავთვალოთ".

როგორც ამბობენ, ამ შეხვედრაში აუცილებლად ითამაშებს თავდამსხმელი ლუკა ტონი, რომელმაც გასულ სეზონში სერია A-ს 47-წლიანი რეკორდი მოხსნა — 30-ზე მეტი გოლი გაიტანა. 29 წლის ფორვარდი სულ რაღაც სამი წლის წინ სერია B-ს მოთამაშე გახლდათ, „პალერმოს" წევრი იყო, დღეს კი მუნდიალზეა და „სკუადრა აძურას" ძირითადის წევრია.

„სამი წლის წინ მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ მეფიქრა, თავხედი უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ ფეხბურთი სწორედ იმითაა ლამაზი და საინტერესო, რომ ყველაფერი ხდება. ამხელა მოვლენის მონაწილე არასდროს ვყოფილვარ და აღტაცებული ვხვდები ყველაფერს" — თქვა ტონიმ.

ხოლო განას, რომელსაც იტალიელთათვის და მთელი მსოფლიოსთვის კარგად ნაცნობი ფეხბურთელები, სტეფან აპია, მიკაელ ესიენი, სამუელ კუფური და სულეი მუნტარი ჰყავს, მეტოქისა არ ეშინია.



ლუკა ტონი

„იტალიელთა თავდასხმის ნებისმიერი ვარიანტი ძალიან ძლიერი იქნება, მაგრამ ჩვენ სწორედ ის დაცვა გვყავს, რომელსაც მათი შეჩერება შეეძლება" — ბრძანა განელთა მწვრთნელმა რატომირ დუიკოვიჩმა.

**პაპუნა კედია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დღეს. F ჯგუფი. I ტური

### ავსტრალია — იაპონია

კაიზერსლაუტერნი. „ფრიცვალტერშტადიონი“. 17.00

| ავსტრალია | იაპონია |
|---|---|
| 1. შვარცერი; 2. ნილი, 3. მური, 6. პოპოვიჩი, 11. ლაზარიდისი; 7. ემერტონი, 5. კულინა, 4. ჩეჰილი, 10. კიუელი; 9. ვიდუკა, 15. ალოიზი | 23. კავაგუჩი; 3. კომანო, 19. ცუბოი, 5. მიამოტო, 14. სანტოსი; 7. ჰ. ნაკატა, 15. ფუკუნიში, 18. ონო, 10. ნაკამურა; 9. ტაკაჰარა, 20. ტამადა |
| მწვრთნელი: გუს ჰიდინკი | მწვრთნელი: ზიკო |

მსაჯი: ესამ ელ ფატაჰი (ეგვიპტე)

# კოჭები

**იაპონიის** ფეხბურთის ასოციაციის შეფმა საბურო კავაბუჩიმ ავსტრალიელ ფეხბურთელებს კოჭების მტვრეველები და ბინძურად მოთამაშეები უწოდა, რამაც, ცხადია ოზთა ნაკრების მწვრთნელი გუს ჰიდინკი გააბრაზა. კავაბუჩიმ თითი ავსტრალია-ჰოლანდიის ამხანაგური მატჩისკენ გაიშვირა, რომელშიც „ნარინჯისფერთა“ სამი ფეხბურთელი დაშავდა.


გუს ჰიდინკი

„ეს სასაცილოა — თქვა ჰიდინკმა — იმ მატჩში ბრძოლა იყო, მაგრამ ჩემს ფეხბურთელებს შეგნებულად არავინ დაუმტვრევიათ. კავაბუჩის განცხადება უპასუხისმგებლოა. იმიტომ ლაპარაკობს, რომ ჩვენ ბინძური გუნდის იმიჯი შეგვიქმნას და მსაჯებს მიანიშნოს, უხეშები არიანო“.

იაპონელებს მარჯვენაფლანგელი აკირა კაჯი ტრავმის გამო დააკლდებათ, თუმც მომდევნო ორი შეხვედრისთვის ჰამოკეთდება. კაჯის, სავარაუდოდ იუიჩი კომანი შეცვლის. იპონელთა მწვრთნელმა თქვა, რომ მეგოლე აცუში იანაგისავა ფორმაშია და დღეს ითამაშებს. იანაგისავა გერმანიასთან ამხანაგურ მატჩში მსუბუქად დაშავდა, მაგრამ მომჯობინდა.

ავსტრალიელთა სამი ძირითადი ფეხბურთელი — კიუელი, ვიდუკა და ჩეჰილი — საიაპონიოდ მზად არიან, ჰიდეტოში ნაკატამ კი მეტოქეზე განაცხადა, ჩვენზე დიდები და მძიმეები არიან, ამიტომ მათთან ჯაჯგურს უნდა მოვერიდოთო. „მთავარია მარკ ვიდუკა შევაჩეროთ და არ მივცეთ ბურთის მიღების საშუალება“ — აღნიშნა ნაკატამ.

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან მაგთიზე და ჯეოსელზე 25 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)

საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)

დროის წამობრივი აღრიცხვა

აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge



# მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

ტროფეული ბიბლიოთეკა

## D ჯგუფი. I ტური

### მექსიკა 3:1 ირანი

№7. 11 ივნისი. 20.00. ნიურნბერგი. „ფრანკენშტადიონი". 41 000 მაყურებელი

1:0 ბრავო (28), 1:1 გოლმოჰამადი (36), 2:1 ბრავო (76), 3:1 ზინია (79)

1 სანჩესი

მწვრთნელი
რიკარდო ლავოლპე

5 ოსორიო, 4 მარკესი, 3 სალსიდო

8 პარდო, 6 ტორადო

16 მენდესი, 14 პინედა

10 გ. ფრანკო, 19 ბრავო

9 ბორხეტი

10 დაეი, 9 ჰაშემიანი

8 ქარიმი

6 ნეკუნამი, 2 მაჰდავიკია

20 ნოსრატი

14 თეიმურიანი, 13 კააბი, 5 რეზაეი, 4 გოლმოჰამადი

მწვრთნელი
ბრანკო ივანკოვიჩი

1 მირზაპური

შეცვლა: ტორადო – 23. ლ. პერესი (46), ფრანკო – 7. ზინია (46), ბორხეტი – 17. ხ. ფონსეკა (52), ქარიმი – 21. მადანჩი (63), ნოსრატი – 15. ბორჰანი (81)

გაფრთხილება: ტორადო (18), ნეკუნამი (55), სალსიდო (90)

მსაჯები: რობერტო როზეტი; კრისტიანო კოპელი, ალესანდრო სტანოლი (იტალია)

| | | |
|---|---|---|
| 25 | ჯარიმა | 21 |
| 6 | კუთხური | 5 |
| 7 | კარისკენ დარტყმა | 7 |
| 4 | კარში დარტყმა | 5 |
| 1 | თამაშგარე | 2 |

## გინდა, არ გინდა: ბრავო ლავოლპემ ისამოვნა


AFP ნიურნბერგიდან


AFP ნიურნბერგიდან

**მატჩი** ქაოსურად დაიწყო, ორივე ნაკრები ბევრს სცოდავდა პასებში, თუმც მალე თამაშიც საგრძნობლად გამოსწორდა და ტემპმაც იმატა. პირველი სახიფათო მომენტი აზიელებმა შექმნეს: ვაჰიდ ჰაშემიანს შეეძლო გატანა, მაგრამ ჯერ ბურთს ვერ მიუსწრო, მერე კი ოსვალდო სანჩესმა ივარგა.

მექსიკელები მალევე გააქტიურდნენ და გაიტანეს კიდეც — პაველ პარდომ ჯარიმა ჩააწოდა, გილერმო ფრანკომ თავით დაარტყა, ომარ ბრავომ კი ბურთს მიმართულება შეუცვალა და 1:0. ირანელებმა უმალ გაათანაბრეს. გოლი კვლავ სტანდარტულ სიტუაციას მოჰყვა. აზიელებმა კუთხური მოაწოდეს, სანჩესი კარიდან არადამაჯერებლად გამოვიდა, მაგრამ პირველი დარტყმა მაინც მოიგერია, დამატებაზე კი ირანელთა მცველ გოლმოჰამადს ველარავინ დაასწრო.

მეორე ტაიმი პირველისგან განსხვავდებოდა. ირანელები დიდი ძალებით აღარ უტევდნენ და აქცენტს დაცვაზე აკეთებდნენ, რაც არცთუ ცუდად გამოსდიოდათ, ყოველ შემთხვევაში, ბოლო 15 წუთამდე. მექსიკელთა იერიშებს კი აშკარად აკლდა ფანტაზია. მათი წამყვანი ფორვარდი ხარედ ბორგეტი თითქმის არ ჩანდა, მერე კი ფეხი იტკინა და სულაც შესაცვლელი შეიქნა.

მექსკელთა არგენტინელმა თავკაცმა რიკარდო ლავოლპემ სამივე შეცვლა გამოიყენა და არც შემცდარა. მან მინდორზე ხოსე ფონსეკა, ლუის პერესი და ნელსონ ზინია შეუშვა. შეიძლება ითქვას, რომ მატჩი ამ უკანასკნელმა მოიგო ომარ ბრავოსთან ერთად.

76-ე წუთზე ირანელთა მეკარე ებრაჰიმ მირზაპური და მცველები უხეშად შეცდნენ, ბურთი მექსიკელებს ჩააბარეს და დაისაჯნენ კიდეც: ზინიამ კარგად გაუჭრა ბრავოს, რომელსაც ახლოდან გატანა აღარ გასჭირვებია. ცოტა ხანში მარიო მენდესის ფლანგიდან ჩაწოდებულს ზინიას კოხტა თავური მოჰყვა — 3:1 და მექსიკელებმა მშვიდად ჩაამთავრეს მატჩი.

რიკარდო ლავოლპე: „ამ გამარჯვებას გულშემატკივრებს უნდა ვუმადლოდეთ. მათი მხარდაჭერა გადამწყვეტი გამოდგა. პირველ ტაიმში ნერვიულობა ეტყობოდათ ბიჭებს, მეორეში კი ქომაგობით გამხნევებულები, უკეთესად ათამაშდნენ. შეცდომები გამოასწორეს და მოიგეს. ძალიან კარგია, რომ პირველივე მატჩში სამი ქულა ჩავიჯიბეთ. ვფიქრობ, მეორე ტაიმში გაკეთებული ცვლილებები გუნდს წაადგა".

ბრანკო ივანკოვიჩმა დაცვის შეცდომებზე დაიწუწუნა: „განსაკუთრებით პირველ ტაიმში ვითამაშეთ კარგად და მეტის გატანაც გვმართებდა, მაგრამ შესვენების შემდეგ დაცვის შეცდომების გამო დავმარცხდით".

**გიორგი ქაქაბაძე**


AFP ნიურნბერგიდან

ბრავო-ბრავოს მერე ზინიამაც გაიტანა


AFP ნიურნბერგიდან

მირზაპურს სამჯერ გამოატანინეს

## დღეს. E ჯგუფი. I ტური

## რქებიც გვაქვს და ხვნაც ვიცით

### აშშ — ჩეხეთი

გელზენკირხენი. „აუფ შალკე". 20.00

| | |
|---|---|
| 18. კელერი; 6. ჩერუნდოლო, 23. პოუპი, 22. ონიევუ, 7. ლუისი; 15. კონვი, 10. რეინა, 4. მასტროენი, 17. ბისლი; 21. დონოვანი, 20. მაკბრაიდი<br>მწვრთნელი: ბრიუს არენა | 1. ჩეხი; 2. გრიგერა, 21. უიფალუში, 22. როზენალი, 6. იანკულოვსკი; 8. პობორსკი, 4. გალაშეკი, 11. ნედვედი; 10. როსიცკი; 9. კოლერი, 15. ბაროში<br>მწვრთნელი: კარელ ბრიუკნერი |

მსაჯი: კარლოს ამარილია (პარაგვაი)

**„პირველი** მატჩი დიდ ტურნირებზე ძალიან მნიშვნელოვანია და უნდა მოვიგოთ" — ამბობს ჩეხთა აყლაყუდა ფორვარდი იან კოლერი.

კარგ დებიუტს მართლაც დიდი მნიშვნელობა აქვს და ევროპელებიც სამ ქულას უმიზნებენ, მაგრამ ეს ადვილი როდია. აშშ-ს სხვა გეგმები აქვს. ამერიკელთა მწვრთნელმა ბრიუს არენამ კარგად იცის, რომ ჩეხეთთან, სულ მცირე, ქულა სჭირდება.

„ჩვენ ახლა საკმაოდ გამოცდილი გუნდი გვყავს. ბევრს 2002 წლის მუნდიალზე უთამაშია, ზოგს კი 1998 წლისაზეც. მეტოქე ძალიან ძლიერა. ჩეხები ყველა რგოლში დაბალანსებულნი არიან და განსაკუთრებულად ძლიერი შეტევა აქვთ. ამიტომაც არიან ფიფას რეიტინგში მეორე ადგილზე, რაც მრავლისმეტყველია" — თქვა არენამ.

ჩეხების მთავარ ნაკლად იმას მიიჩნევენ, რომ ზედმეტად გადაბერებული ლიდერები ჰყავთ, თუმცა კარის დარაჯ პეტერ ჩეხს ეს არ აღელვებს.

„ასაკოვანნი, მართლაც გვყავს, მაგრამ რა პრობლემაა, პირიქით, ისინი ძალიან გამოცდილები არიან და ეს ჩვენი ერთ-ერთი პლუსია" — აღნიშნა ჩეხმა.

ამერიკელებს ყველა ფეხბურთელი მწყობრში ჰყავთ, ხოლო ჩეხებს პატარა დაბრკოლება შეექმნათ — პაველ ნედვედმა ვარჯიში გამოტოვა, რადგან ფეხს იტკივებდა, თუმც, ექიმების თქმით, ითამაშებს. ევრო 2004-ის საუკეთესო ბომბარდირის, მილან ბაროშის თამაში კი სათუოა. თუმცა ექიმები ყველაფერს აკეთებენ, რათა 24 წლის ფორვარდმა მწყობრში ჩადგომა მოასწროს. ორივე გუნდი ტრადიციული 4-4-2-ით აპირებს თამაშს.



პეტრ ჩეხი პასპორტში არ იხედება

გავიხსენოთ, რომ ჩეხოსლოვაკიამ 1990 წლის მუნდიალზე 5:1 გაანადგურა აშშ. ეს მსოფლიოს ჩემპიონატი კი პირველია, რომელშიც ჩეხები სლოვაკების გარეშე თამაშობენ.

**გიორგი ქაქაბაძე**

## B ჯგუფი. I ტური

### ტრინიდადი 0:0 შვედეთი

№4. 10 ივნისი. 20.00. დორტმუნდი. „ვესტფალენშტადიონი". 62 959 მაყურებელი

1 ჰისლოპი

მწვრთნელი ლეო ბეენჰაკერი

8 გრეი, 6 ლოურენსი, 5 სანჩო, 3 ე. ჯონი

7 ბირჩალი, 18 თეობალდი

11 ედვარდისი, 12 სამუელი

14 შ. ჯონი

19 იორკი

10 იბრაჰიმოვიჩი, 11 ლარსონი

9 ლიუნგბერგი

21 ვილჰელმსონი, 8 სვენსონი, 7 ალექსანდერსონი

6 ლინდეროტი

5 ედმანი, 3 მელბერგი, 4 ლუკიჩი

მწვრთნელი ლარს ლაგერბეკი

23 შაბანი

შეცვლა: სამუელი –13. გლენი (52), სვენსონი – 20. ოლბოჯი (62), თეობალდი – 9. უიტლი (66), ლინდეროტი – 16. კალსტრიომი (78), ვილჰელმსონი – 18. იონსონი (78)

გაფრთხილება: ე. ჯონი (15), ე. ჯონი (46), იორკი (74), ლარსონი (90)

გაფრთხილება: ე. ჯონი (46)

მსაჯები: შამსულ მაიდინი (სინგაპური);
პრაჩია პერმპანიჩი (ტაილანდი), ეისა ღულუმი (საამიროები)

| | | |
|---|---|---|
| 10 | ჯარიმა | 9 |
| 1 | კუთხური | 8 |
| 6 | კარისკენ დარტყმა | 18 |
| 2 | კარში დარტყმა | 6 |
| 1 | თამაშგარე | 2 |

# ბეენჰაკერის ვირუსმა შვედეთი დააჩლუნგა

**ტრინიდადმა** და ტობაგომ პირველივე მატჩით უპასუხა მათ, ვინც კითხულობდა: რა უნდა ამ გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატზე?

ჩემპიონატი პარასკევს გაიხსნა, შაბათს კი ტრინიდადმა დახურა — მუნდიალზე სადებიუტო მატჩში აღებული ქულით გახარებულმა კარიბელებმა თამაშის შემდეგ ისეთი ზეიმი მოიწყვეს, თითქოს მსოფლიოს ჩემპიონები გამხდარიყვნენ. მერე რა, რომ მთელი შეხვედრა დაცვაში გაატარეს? რაც მწვრთნელმა დაავალა, ფრიადზე შეასრულეს და ქულა ალალად ეკუთვნოდათ.

დუაიტ იორკი— კაცი რომელსაც საკლუბო კარიერაში 141, ხოლო სანაკრებოში 29 გოლი გაუტანია, ცენტრალური მცველიც იყო, საყრდენიც, ნახევარმცველიც და ფორვარდიც. შვედებს ვერ გაუტანა, მაგრამ დაცვაში საუცხოოდ ითამაშა და მეტოქეს მოქნეული ფეხიდან ბურთი რამდენჯერმე ააცალა.



AFP ფოტო

შაკა ჰისლოპი

ძირითადი მეკარე კელვინ ჯეკი უნდა ყოფილიყო, მაგრამ დაშავდა და მის ნაცვლად 37 წლის შაკა ჰისლოპი ჩადგა კარში. „კვირის დასაწყისში ჯეკმა ტრავმა მიიღო — თქვა ლეო ბეენჰაკერმა — შვედეთთან მატჩის წინა დღეს შაკას ვუთხარი, შენ უნდა ითამაშო-მეთქი, და თვალდაც ნახეთ, რომ საუცხოო იყო".

ჰისლოპმა კი დაიმორცხვა: „გმირი მე არა ვარ. მთელმა გუნდმა იყოჩალა და ეს ზღაპრული საღამო იყო".

ფრედერიკ ლიუნგბერგი: „4:0 მაინც უნდა მოგვეგო, მაგრამ აურაცხელი შანსი ვერ გამოვიყენეთ. იღბალმაც გვიგანა".

შვედთა მწვრთნელი ლარს ლაგერბეკი: „გაოგნებული ვარ. ტრინიდადელთა მეკარემ სასწაულები ჩაიდინა. უამრავი საგოლე მომენტი ქარს გავატანეთ. ფეხბურთში ასეთებიც ხდება".

ქართულ-ამერიკული რესტორანი „ვერა სტეიკჰაუსი"






მსოფლიოს ჩემპიონატს
ფეხბურთში დიდ ეკრანზე
და VIP **დარბაზში**,
მიირთვით ***მანუელის***
ექსკლუზიური კერძები და
გაატარეთ სასიამოვნო საღამო
ინფორმაციისთვის მოგვმართეთ: მ. კოსტავას ქ.37ა,
ვერის ბაღი, ჭადრაკის სასახლის I სართული
ტელ: 98-37-67, 893-63-03-52
www.verasteakhouse.ge

# მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

## სერბეთი 0:1 ჰოლანდია

№6. 11 ივნისი. 17.00. ლაიპციგი. „ცენტრალშტადიონი". 37 216 მაყურებელი

0:1 რობენი (18)

1 ქავრიჩი

მწვრთნელი
ილია პეტკოვიჩი

4 დულიაი   6 გავრანჩიჩი   20 კრსტაიჩი   3 დრაგუტინოვიჩი

14 ნ. ჯორჯევიჩი   11 პ. ჯორჯევიჩი

17 ნადი   10 სტანკოვიჩი

8 კეჟმანი   9 მილოშევიჩი

9 ვან ნისტელროოი

11 რობენი   17 ვან პერსი

20 სნეიდერი   8 კოკუ   18 ვან ბომელი

5 ვან ბრონკჰორსტი   14 ჰეიტინგა   4 მატიისენი   13 ოიერი

მწვრთნელი
მარკო ვან ბასტენი

1 ვან დერ სარი

შეცვლა: ნ. ჯორჯევიჩი – 7. კორომანი (43), მილოშევიჩი – 19. ჟიგიჩი (46), ვან ბომელი – 6. ლანძაატი (60), კეჟმანი – 21. ლიუბოია (67), ვან ნისტელროოი – 7. კუიტი (69), მატიისენი – 3. ბულარუზი (86)

გაფრთხილება: სტანკოვიჩი (34), ვან ბრონკჰორსტი (56), კორომანი (64), დრაგუტინოვიჩი (81), ჰეიტინგა (85), გავრანჩიჩი (90)

მსაჯები: მარკუს მერკი;
კრისტიან შრაერი, იან-ჰენდრიკ სალვერი (გერმანია)

| | | |
|---|---|---|
| 15 | ჯარიმა | 23 |
| 6 | კუთხური | 4 |
| 11 | კარისკენ დარტყმა | 12 |
| 4 | კარში დარტყმა | 6 |
| 2 | თამაშგარე | 3 |

# რობენლანდია

## პეტკოვიჩმა ნაპერწკალს წყალი დაასხა



**არიენ რობენი** მსოფლიოს უპირველესი ვარსკვლავკაციაო, ვერავინ იტყვის, მაგრამ ჰოლანდიელთა მარცხენა გარემარბმა რაც გუშინ სერბებს დღე დააწია, ბევრი ვერ დაიკვეხნის... აქაც რობენი, იქაც რობენი, ყველგან ის იყო, სადაც ბურთი ბზრიალებდა და ალალია, რომ მატჩის ერთადერთი გოლიც მან გაიტანა. ჯერ რა დროს მუნდიალის გახურებაა, მაგრამ რაც მატჩები ვნახეთ, ჩელსელი გარემარბის მსგავსად არავის უთამაშია და, მოდით, ჩემპიონატის საწყისი სამი დღის მთავარკაცად ის ჩავთვალოთ.

მარკო ვან ბასტენმა ტიპიური ჰოლანდიური 4-3-3 აირჩია, სადაც „შუბის წვერად" რუუდ ვან ნისტელროოი ჰყავდა, ფლანგებიდან კი მას რობენი და არსენალელი რობინ ვან პერსი ამოუყენა. სწორედ ფლანგებმა მოინაგრეს მე-18 წუთზე გატანილი გოლიც: ვან პერსიმ ერთი შეხებით დრაგოსლავ ჟევრიჩთან პირისპირ გაიყვანა რობენი და მანაც მარტივად შემოატარა ბურთი სერბთა მეკარეს.

ჰოლანდია გოლამდეც უფრო ხშირად ფლობდა ბურთს, ოღონდ გასატანი ბალკანელებს უფრო ჰქონდათ, როცა მარცხენა ფლანგზე პრედრაგ ჯორჯევიჩმა ბავშვივით მოატყუა მარკ ჰეიტინგა და მწვავე პასიც გააკეთა, მაგრამ მატეა კეჟმანმა და სავო მილოშევიჩმა ბურთს ფეხი ვერ შეუშვირეს. მალევე ზორბა მილოშევიჩმა იპოვა სივრცე, თუმცა ისე უგემურად დაარტყა, ედვინ ვან დერ სარს ბურთის ასაღებად ნახტომიც არ დასჭირვებია.

„ნარინჯისფრები" მინდვრის ცენტრშიც ერეოდნენ სერბებს, დეიან სტანკოვიჩი საერთოდ ვერ იყო თამაშის იშტაზე, ჯორჯევიჩი აქა-იქ თუ ჩაიქროლებდა ხოლმე ფლანგზე, ამიტომაც კეჟმან-მილოშევიჩამდე ბურთი იშვიათად მიდიოდა.

იმპროვიზაციაზე ლაპარაკიც ზედმეტია — სამხრეთელი სლავები ჯახირ-ჯახირ, ბრძოლით ცდილობდნენ ვან დერ სართან მიახლოვებას. ვან ბასტენის გუნდიც ვერ ბრწყინავდა, მაგრამ ჰყავდა რობენი, რომელიც დროდადრო რთავდა სიჩქარეებს და 90 წუთის მანძილზე ვითომ მეურვე იგორ დულიაის სისხლს უშრობდა — ჩელსელმა რამდენჯერმე შორიდან სცადა გატანა და ერთხელ ჟევრიჩმა მართლაც საწაული ბურთი გამოუძრო.

სერბთა თავკაცი ილია პეტკოვიჩი კი, ალბათ რისკთან უბრადაა, ვერ გაბედა სამი ფორვარდით თამაში, ხოლო მილოშევიჩ-კეჟმანის ნაცვლად ნიკოლა ჟიგიჩ-დანიელ ლიუბოიას გამოყვანამ უკუშედეგი მოუტანა — ისედაც უცეცხლო შეტევები მთლად ბოლო ნაპერწკალივით ჩაუქრა გუნდს. შეცვლაზე გასულებიდან ისევ ოგნიენ კორომანმა იაქტიურა ყველაზე მეტად, ორჯერ დაჰკრა შორიდან და მხოლოდ ეს იყო სერბთა ნახევარმომენტები, თორემ ჰოლანდიას სხვა გასაქანი არც მიუცია მეტოქისთვის.

...ასე დაბრუნდნენ „ნარინჯისფრები" რვაწლიანი განშორების შემდეგ მუნდიალზე — რობენი რომ არა, ვან ბასტენის გუნდს ეშხი დააკლდებოდა. ვერც მათ დაცვას ვაქებ-ვადიდებთ, რადგან ბალკანელები რალაცნაირად უმარილოდ უტევდნენ. „სიკვდილის ჯგუფში" ფავორიტები დაწინაურდნენ, მაგრამ ორი ტური წინაა, კოტ დივუარი ნაღდად გამოაჩენს ბრჭყალებს და ვინ იცის, ალბათ სერბებიც რალაცას ინახავენ არსენალში.

ილია პეტკოვიჩი: „ახლა არ ვაპირებ იმის გარჩევას, ტაქტიკა სწორად შევარჩიე თუ არა. ამას მოგვიანებით მივხედავთ. წაგებას არ ვიმსახურებდით, რადგან, მგონია, რომ ჰოლანდიამ თამაშით ვერ გვაჯობა და ჩვენზე მეტი მომენტი არ შეუქმნია. თავიდან კარგად დავიწყეთ და რობენის გოლამდე ყველაფერს სწორად ვაკეთებდით. მეორე ტაიმში შეცვლებით თამაშის გამწვავება ვცადე, მაგრამ ამან არ გაამართლა".

ოგნიენ კორომანი უკმაყოფილო იყო იმით, რომ თავიდანვე არ ითამაშა: „არ ვიცი, რატომ დამტოვეს სათადარიგოთა სკამზე. მწვრთნელმა ასე გადაწყვიტა და კამათს არ ვაპირებ. ისლა დაგვრჩენია, მომდევნო ორ მატჩში თავდაუზოგავად ვიბრძოლოთ მოსაგებად".

არიენ რობენს კი უხაროდა: „ვფიქრობ, ძალიან კარგად ვითამაშე და გარწმუნებთ, რომ უკეთესადაც შემიძლია. გოლისას დავინახე მეკარე სად იყო და უკვე ვიცოდი, საით უნდა დამერტყა".

მარკო ვან ბასტენი: „ძალიან რთული მატჩი იყო, მაგრამ მთავარია, რომ მოგებით დავიწყეთ. რობენის გოლმა თავდაჯერებულობა შეგვმატა, მეორე ტაიმში კი რამდენჯერმე კიდევ შეგვეძლო გატანა".

**ილია ნანობაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ჰოლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| კოტ დივუარი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| სერბეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |



მარკუს მერკი ხელებზეც დადგა



კეჟმანმა ჰეიტინგას ცხვირწინ მაკრატელა გაუკეთა

# ოტომ შვილი მიატოვა

## ტოგოს საქმე ედემშია: კოდჯოვი, კვადჯო, კოდჯო და ზედაც ადებაიორი

**ტოგოს** ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა კოდჯოვი მავუენა, რომელმაც ოტო პფისტერი შეცვალა და პირველი, რაც ოქვა, ეს გახლდათ — პფისტერის დაბრუნებას დღესვე სიამოვნებით შევეგებებოდიო. მავუენა აქამდე პფისტერის ერთ-ერთი ასისტენტი გახლდათ.

„ოტო პფისტერი თითოეული ჩვენგანისთვის მამასავით იყო. მისმა წასვლამ ძალიან დამწყვიტა გული და მერწმუნეთ, მის ტაქტიკას ვუერთგულებთ კიდეც, თუმცა შეგახსენებთ, რომ მე ამ ნაკრებში მითამაშია, მისი კაპიტანიც ვყოფილვარ და მიხი მწვრთნელობაც დამიჭაშნიკებია" — თქვა მავუენამ.

მენეჯერმა გერსონ კვადჯო დაბუმ კი უფრო კატეგორიულად გამოთქვა პფისტერის დაბრუნების იმედი.

„ჯერ კიდევ ვცდილობთ, ოტო პფისტერი დავარწმუნოთ, რომ უნდა დაბრუნდეს. საქმე დასამთავრებელია და დღეს გუნდიდან წასვლა შვილის მიტოვებას ჰგავს, თუმცა მესმის, რომ ბოლო სიტყვა მას ეკუთვნის. და მაინც, თუ პფისტერი დაბრუნდება, ბუნებრივია, ძველ თანამდებობაზე განაგრძობს მუშაობას, ხოლო მავუენა მისი მთავარი ასისტენტი გახდება, სხვა შემთხვევაში კი, არც მესამე, სულ სხვა მწვრთნელის მოწვევის ვარიანტია გამორიცხული".



ფაფარა ვინფრიდ შეფერმა შესაძლოა თმაშეთხელებული ოტო პფისტერი შეცვალოს

ამის შემდეგ დაბუს მოუხდა იმ ჭორის უარყოფა, თითქოს ტოგოელთა ბანაკში აყალმაყალი ატყდა და გუნდის ერთ-ერთი ლიდერს, არსენალელ ემანუელ ადებაიორს გასაგდებად ჰქონდა საქმე. შეგახსენებთ, რომ ადებაიორი ბუნტში შემჩნეული კაცია. ამ წლის დასაწყისში, აფრიკის თასზე იგი მაშინდელ მწვრთნელს, სტეფან კეშს გაექაჩა.

„პრემიების მოთხოვნისა და მსგავსი პრობლემების მიუხედავად, ჩვენ ყველანი ვამაყობთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ნაწილი ვართ და გვინდა, უარვყოთ ხმები, თითქოს სასურველზე ნაკლები ბონუსების გამო ფეხბურთელების ერთი ჯგუფი გუნდიდან მიდის და სხვა. ისევე, როგორც ადებაიორის შემთხვევაში, ეს ჭორები ტყუილია. ადებაიორი ვარჯიშობს და სწორედ ერთ-ერთი მათგანია, ვინც გუნდში კარგ ატმოსფეროს ქმნის" — თქვა დაბუმ, რომელმაც დასძინა, რომ 13 ივნისს ფრანკფურტში, ტოგოსა და კორეის მატჩს პროტესტის გამო არანაირი საფრთხე არ ემუქრება.

და მაინც, პრემიების საქმე ამოწურული არ არის. ფეხბურთელები 120 ათას ევროს ითხოვენ. მათთან შესახვედრად გერმანიაში ქვეყნის შეშფოთებული პრემიერი ედემ კოდჯო ჩაფრინდა და პირადად ელაპარაკება მოთამაშეებს. თავიდან ფეხბურთელებს 150 ათასი უნდოდათ, მაგრამ, როგორც ხედავთ, დაუკლეს.

ამასობაში კი ტოგოელებმა კამერუნის ნაკრების ყოფილ მწვრთნელს, გერმანელ ვინფრიდ შეფერს გაუმართეს მოლაპარაკებები.

„შეიძლება, მართლაც შევთანხმდეთ, ოღონდ მხოლოდ მას მერე, რაც ისინი თავიანთ პრობლემებს მოაგვარებენ" — ბრძანა შეფერმა.

**ბაკურა ძიძია**

# რა პატარაა მსოფლიო

**კოსტა რიკის** ნაკრების მცველ ჟილბერტო მარტინესისთვის მსოფლიოს ჩემპიონატი დასრულდა. 26 წლის ფეხბურთელმა გერმანიასთან 2:4 წაგებულ მატჩში მუხლი ისე დაიშავა, ექიმები ჯერ ვერ ამბობენ, რამდენ ხანს მოუწევს დასვენება.

„ბრეშას" მარჯვენა მცველი, რომელსაც 2002 წლის მუნდიალზეც უთამაშია, უკვე იტალიაში დაბრუნდა და იქაურ ექიმებს ესინჯება.

**კოკი ძანდელაძე**

# საქართველო და 8 წუთი ხუსტოსთვის



**პარაგვაის** ნაკრებისა და არგენტინული „ნიუელზ ოლდ ბოისის" მეკარე ხუსტო ვილიარი, ალბათ, მსოფლიოს ჩემპიონატზე ვეღარ ითამაშებს — მუნდიალისთვის სამზადისისას საქართველოს ნაკრებთან ამხანაგურად გაჯიბრებულ ხუსტოს ინგლისთან მატჩის ერთ-ერთ ეპიზოდში მას ფეხი გადაუბრუნდა.

„ექიმებმა მითხრეს, რომ ხუსტო, სულ მცირე, ორი კვირა ვერ ითამაშებს" — თქვა პარაგვაის ნაკრების მწვრთნელმა ანიბალ რუისმა.

ხუსტო ვილიარი: „ძალიან განვიცადე, როცა ტკივილი ვიგრძენი და მივხვდი, ტრავმა მქონდა. ჯობდა, მატჩამდე ან მას მერე დავშავებულიყავი, ამას უფრო შევეგუებოდი."


საზოგადოებრივი მაუწყებელი

FIFA WORLD CUP GERMANY
გერმანია 2006

ყოველდღე, მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას, გადაცემა
„არენა"
შემოგთავაზებთ
ინტელექტუალურ ვიქტორინას.

ის, ვინც პირველი გამოაგზავნის სწორ პასუხს
SMS ნომერზე 2233 და 2234
მაგთიდან და ჯეოსელიდან,
საჩუქრად მიიღებს ჩვენს სპეციალურ პრიზს
სპორტულ ენციკლოპედიას
და „საუკუნის პორტრეტების" ჩანაწერს DVD დისკებზე.

SMS-ის ღირებულებაა 50 თეთრი

9 ივლისს, 21 საათსა და 10 წუთზე
გათამაშდება კომპანია „ულტრათრეველის" მიერ დაწესებული
სპეციალური პრიზი:
ორადგილიანი საგზური
დუბაიში ერთი კვირით, ოთხვარსკვლავიან სასტუმროში

ის, ვინც ყველაზე მეტ სწორ პასუხს გამოგზავნის მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას, გაემგზავრება დუბაიში.

უყურეთ მსოფლიო ჩემპიონატს ფეხბურთში
საზოგადოებრივ არხზე!

www.gpb.ge

# მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## B ჯგუფი. I ტური

# მზით გათანგულნი

## სვენ(ებ)-გორა(ნ)ობა შუადღის ხვატში



AFP ფრანსპრესი

რობინსონს შეყრილმა პარედესმა ჩინებული შანსი დაკარგა

**ორი წლის** წინ, პორტუგალიის ნაკრებთან ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალურ მატჩში წაგების შემდეგ ინგლისელთა შვედმა მწვრთნელმა სვენ გორან ერიკსონმა დანანებით თქვა, შეცდომა დავუშვი, განაცხადში მეხუთე თავდამსხმელიც რომ არ შევიყვანეო.

გაგახსენებთ, რომ მაშინ უეინ რუნი პორტუგალიასთან შეხვედრის დებიუტშივე დაიმტვრა და ერიკსონს სათადარიგოთა სკამზე შეტევის გასაძლიერებელი რესურსი არ აღმოაჩნდა.

რუნი, მართალია, ნაკრებშია, მაგრამ ამჟამადაც დაშავებულია და მისი ჩათვლით შვედს კვლავ ოთხი ფორვარდი ჰყავს, ანუ ამ წუთისთვის, ფაქტობრივად, სამი და ამ სამიდან ერთი ყმაწვილი თეო უოლკოტია, ვისაც ჯერ პრემიერლიგაც არ დაუჭაშნიკებია.

ასეა და, პარაგვაისთან მატჩში ერიკსონი ორად-ორი შემტევის, მაიკლ ოუენისა და პიტერ კრაუჩის იმედად იყო და მეორე ტაიმში, როდესაც რაღაცის შეცვლა გახდა საჭირო, სკანდინაველმა შემტევი პოტენციალის გაძლიერება კარგა ხნის წინ გაცხადებული ექსპერიმენტებით სცადა — სტიუარტ დაუნინგი შეუშვა მინდორზე ოუენის ნაცვლად. შესაბამისად, ახალგაზრდა მიდლსბროელმა მარცხენა ფლანგზე ჯო კოულის ადგილი დაიკავა, ხოლო თავად კოულმა ცენტრში, კრაუჩის უკან გადაინაცვლა.

ასეთი ვარიანტი ინგლისურ პრესაში რუნის დაშავების მეორე დღესვე განიხილეს. მოგვიანებით ბრიტანელმა სპეციალისტებმა მეორე თავდამსხმელად სტივ ჯერარდის გამოყენების იდეა წამოწიეს და სვენმა ეს ვარიანტი უნგრეთთან ამხანაგურ თამაშშიც სცადა და გუშინწინაც, როდესაც უკვე თავად ჯო კოული შეცვალა ოუენ ჰარგრივზით: ამ უკანასკნელმა ჯერარდის ადგილი დაიკავა, ხოლო „ლივერპულის“ კაპიტანმა წინ გადაინაცვლა.

ექსპერიმენტებმა რაიმე ხელშესახები შედეგის გარეშე ჩაიარა და, მართალია, ინგლისელებმა მატჩის დებიუტშივე კარლოს გამარას მიერ საკუთარ კარში გატანილი კინკილა გოლით მოიგეს, მათი თავდასხმის ხაზი, მეტი რომ არ ვთქვათ, უკეთესის სურვილს ტოვებდა.

ერთიცაა — ამ მატჩში ალბიონელთა შეტევა მთლიანად პიტერ კრაუჩზე იყო აწყობილი და, ღმერთმა ქნას, რუნი მოედანზე რომ გავა, ერიკსონს მთლიანად მოუწევს ტაქტიკის შეცვლა. ეს კი მუნდიალის მსვლელობისას საკმაოდ ძნელი გასაკეთებელი იქნება.

თავად კრაუჩზე აუგს ნამდვილად ვერ ვიტყვით — „რობოტის ცეკვა“ ვერ შეასრულა, მაგრამ იბრძოლა, იომა, რამდენჯერმე დაცვაშიც ივაჟკაცა და, რაც მთავარია, ეს ორმეტრიანი აყლაყუდა საკმაოდ ელასტიური და ჭკვიანი ფეხბურთელია.

ვის შეცდომებზე, რას და როგორ სწავლობს ორი მეოთხედფინალის ფაქტობრივად იდენტურად წამგები სვენი, პლეი ოფში გამოჩნდება. ხოლო პირველი მატჩით იმის თქმა შეიძლება, რომ იგივე დაუნინგის, ანაც ჯერმენ ჯენასის ნაცვლად პირველ რეზერვისტად მიჩნეული ჯერმენ დეფო თუ ენდი ჯონსონი რომ შეეყვანა 23 კაცში და ამით საკუთარი თავისთვის თავდამსხმელთა არჩევანი გაეზარდა, ალბათ უმჯობესი იქნებოდა.

უშუალოდ გუშინდელი მატჩის ბედი კი, როგორც ვთქვით, დასაწყისშივე გადაწყდა. ფრანკფურტული შუადღის მწველი მზის ქვეშ ინგლისელებმა აქტიურად დაიწყეს და უკვე მესამე წუთზე გახსნეს ანგარიში — დევიდ ბექემმა, რომელიც ფრენკ ლამპარდთან ერთად საუკეთესო იყო ერიკსონის გუნდში, ოსტატურად ჩააწოდა საჯარიმო, პარაგვაელთა ვეტერანმა კაპიტანმა კარლოს გამარამ კი ოუენს „დაასწრო“ და აუღებელი ბურთი ჩაჭრა საკუთარ კარში.

ცოტა ხანში ლათინოამერიკელთა ძირითადი მეკარე ვილიარი დაშავდა და მისი ადგილი ბობადილამ დაიკავა, თუმცა მისი გამოუცდელობით ბრიტანელებმა ვერ ისარგებლეს, რაც მათი შეტევების ერთფეროვნებით იყო გამოწვეული. ინგლისელებმა რატომღაც უარი თქვეს ოუენის ჩქაროსნული თვისებების გამოყენებაზე და მთელი აქცენტი კრაუჩის სიმაღლეზე გააკეთეს. ერთი ის იყო, ჯერარდი და ლამპარდი ცდილობდნენ საჯარიმოს გარედან მეტოქის კარის ბომბარდირებას და მეორე ტაიმში ლამპარდს რამდენიმე კარგი დარტყმა გამოუვიდა კიდეც, მაგრამ ბობადილამ ივარგა. თანაც, თანდათან მაგრად ჩამოცხა, ხვატმა იმატა და წავიდა თამაში სვენებ-სვენებითა და ბურთისა თუ ფეხბურთელთა გორაობით.

პარაგვაელებზე კი, ალბათ, არც არაფრის თქმა არ შეიძლება როკე სანტა კრუზი საერთოდ არ ჩანდა და ერთი ნელსონ ვალდესი ცდილობდა რაღაცის გაკეთებას, მაგრამ მისმა ნახევრადმომენტებმა, თუნდაც იმის ფონზე, რომ შესვენების შემდეგ ბურთს ძირითადად პარაგვაელები აკონტროლებდნენ, ინგლისელთა დაცვას ბზარი ვერ დააჩნია.

ინგლისის ნაკრების დაცვის ხაზი ცალკე აღნიშვნის ღირსია. ეშლი კოულის ერთი-ორ უნებლიე და პოზიციურ შეცდომას თუ არ ჩავთვლით, ამ უკანასკნელის, გარი ნევილის, რიო ფერდინანდისა და ჯონ ტერის ოთხეული მართლაც გაუვალი იყო და ამ ბარიერის დაძლევა ნებისმიერ, თუნდაც პარაგვაიზე გაცილებით ძლიერ ნაკრებს გაუჭირდება. ოღონდაც მთლად დაცვის იმედზე ერიკსონი არ უნდა იყოს და იმაზე იფიქროს, ვინმემ ერთი გოლი როგორღაც რომ გაუტანოს მის გუნდს, თავად საპასუხო ორი როგორ შეაგდოს.

ისიც კია, რომ თავისი გუნდის პრობლემები შვედს ჩვენზე უკეთ მოეხსენება და სწორედ ამაზე ისაუბრა მატჩის შემდეგ, თუმცაღა ბევრი რამ მაინც გაუსაძლის სიცხეს დააბრალა: „საკმაოდ გაგვიჭირდა. განსაკუთრებით მეორე ტაიმში, რადგანაც საშინლად ცხელოდა. მთავარი იყო, ჩემპიონატი სამი ქულით დაგვეწყო და ჩვენ ეს შევძელით. შემდეგი მატჩი საღამოს გვაქვს და დარწმუნებული ვარ, გაცილებით უკეთ ვითამაშებთ“.

თქვენ წარმოიდგინეთ და, უკმაყოფილო არც პარაგვაელთა დამრიგებელი ანიბალ რუისი ყოფილა, რომელმაც ასევე სიცხეზე გააკეთა აქცენტი: „ინგლისი ძალიან ძლიერია. სერიოზული ნაკრებია და ვამაყობ ჩემი ფეხბურთელებით, ღირსეულად რომ ეთამაშნენ გუნდს, რომელსაც ფინალამდე მისვლა ძალუძს. პირველი ოცი წუთის შემდეგ შეცდომები აღარ დაგვიშვია და მეორე ტაიმში კი, მიუხედავად სიცხისა, რომელმაც ორივე გუნდს შეუქმნია პრობლემები, თამაში ჩვენი კარნახით მიდიოდა. წავაგეთ, მაგრამ მეორე ეტაპზე გასვლისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ.“

**გიორგი გერიკაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ტრინიდადი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| შვედეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| პარაგვაი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |

## ინგლისი 1:0 პარაგვაი

№3. 10 ივნისი. 17.00. ფრანკფურტი. „ვალდშტადიონი“. 48 000 მაყურებელი

1:0 გამარა (3ს.კ.)

1 რობინსონი

მწვრთნელი
სვენ გორან
ერიკსონი

2 ნევილი 5 ფერდინანდი 6 ტერი 3 ე. კოული

4 ჯერარდი 8 ლამპარდი

7 ბექემი 11 ჯ. კოული

10 ოუენი 21 კრაუჩი

9 სანტა კრუზი 18 ვალდესი

16 რივეროსი 6 ბონეტი

13 პარედესი 10 აკუნია

3 ტოლედო 4 გამარა 5 კასერესი 21 კანისა

მწვრთნელი
ანიბალ რუისი

1 ვილიარი

შეცვლა: ვილიარი – 22. ბობადილა (8), ოუენი – 20. დაუნინგი (52), ბონეტი – 23. კუევასი (68), ტოლედო – 2. ხ. ნუნიესი (82), ჯ. კოული – 16. ჰარგრივსი (83)

გაფრთხილება: ჯერარდი (19), ვალდესი (22), კრაუჩი (63)

მსაჯები: მარკო როდრიგესი; ხოსე ლუის კამარგო (მექსიკა), ლეონელ ლეალი (კოსტა რიკა)

| | | |
|---|---|---|
| 13 | ჯარიმა | 13 |
| 6 | კუთხური | 1 |
| 13 | კარისკენ დარტყმა | 7 |
| 5 | კარში დარტყმა | 2 |
| 4 | თამაშგარე | 3 |



AFP ფრანსპრესი

რუნი და კარაგერი სათადარიგოთა სკამზე

# მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

## B ჯგუფი. I ტური

### არგენტინა 2:1 კოტ დივუარი

№5. 10 ივნისი. 23.00. ჰამბურგი. „AOL არენა". 49 480 მაყურებელი

1:0 კრესპო (24), 2:0 სავიოლა (38), 2:1 დროგბა (82)

მწვრთნელი
ხოსე პეკერმანი

1 აბონდანსიერი

21 ბურდისო 2 აიალა 6 ჰაინცე

8 მასკერანო 5 კამბიასო

18 მაქსი როდრიგესი 3 სორინი

10 რიკელმე

7 სავიოლა 9 კრესპო

11 დროგბა

18 კეიტა

2 აკალე 8 კალუ

5 ზოკორა 19 ი. ტურე

3 ბოკა 12 მეიტე 4 კ. ტურე 21 ებუ

მწვრთნელი
ანრი მიშელი

1 ტიზიე

შეცვლა: კალუ – 15. დინდანე (55), აკალე – 14. ბ. კონე (62), კრესპო – 14. პალასიო (64), სავიოლა – 22. ლუჩო გონსალესი (75), კეიტა – 9. ა. კონე (77), რიკელმე – 16. აიმარი (90)

გაფრთხილება: სავიოლა (41), ჰაინცე (48), ებუ (62), ლუჩო გონსალესი (81), დროგბა (90)

მსაჯები: ფრანკ დე ბლეეკერი; პეტერ ჰერმანსი, ვალტერ ვრომანსი (ბელგია)

| | | |
|---|---|---|
| 15 | ჯარიმა | 17 |
| 3 | კუთხური | 6 |
| 9 | კარისკენ დარტყმა | 13 |
| 4 | კარში დარტყმა | 4 |
| 6 | თამაშგარე | 0 |



ასეთი ეპიზოდები ხშირი იყო

# პეკერმანმა სენსაციას ხორთუმი მოუგრიხა

„სიკვდილის ჯგუფმა" არგენტინის მოგებით დაიწყო — შაბათს ჰამბურგულ „აოლ არენაზე" ხოსე პეკერმანის გუნდმა ანრი მიშელის კოტ დივუარი დაამარცხა. „ალბისელესტემ" შესანიშნავად იბურთავა და კრესპომ და სავიოლამ რიკელმეს ზუსტი პასებით შეძლეს აფრიკელთა კარის დალაშქვრა.

თამაშს დიდი აჟიოტაჟი უძღვოდა. არგენტინელები გერმანია 2006-ის ერთ-ერთ ფავორიტებად ითვლებიან და აფრიკის დღეისთვის ყველაზე ძლიერი გუნდის თამაშის ნახვასაც ყველა ინტერესით ელოდა. მატჩი რიკელმეს და მისი თანაგუნდელების იერიშებით დაიწყო და ანგარიშიც „ვილიარეალის" ვარსკვლავის შემწეობით გაიხსნა. 24-ე წუთზე რიკელმემ მარცხენა ფლანგიდან საჯარიმო ჩააწოდა და „სპილოების" მცველთა არეულობით ყველაზე უკეთ კრესპომ ისარგებლა.

თეთრ-ცისფრად გადაპენტილი სტადიონი ზეიმს მიეცა, თუმცა ბონავენტურე კალუმ არგენტინის ფანებს და, პირველ რიგში, ნაკრების მაისურში გამოწყობილ მარადონას, კინაღამ ჩაუშხამა ფიესტა — 30-ე წუთზე ერთობ სახიფათოდ დაარტყა აბონდანსიერის მიმართულებით...

38-ეზე კვლავ რიკელმე, კვლავ შესანიშნავი გადაცემა და ტიზიესთან პირისპირ დარჩენილმა სავიოლამ 2:0 გახადა ანგარიში.

მეორე ტაიმი პირველთან შედარებით მდორედ წარიმართა. არგენტინას თავი ქუდში ჰქონდა, ამიტომაც პეკერმანის ბიჭებს გოლის გატანისთვის თავი არ მოუკლავთ — „სპილოები" გონივრული და გამოზომილი ფრთხილბურთაობით მოგუდეს. კოტ დივუარიდან, რა თქმა უნდა, დროგბას ღვაწლი უნდა ვახსენოთ. აფრიკელთა ლიდერმა „აოლ არენაზე" შესვენების მერე ჩამოწოლილი მოწყენილობა 82-ე წუთზე გაფანტა, როცა კონეს პასით მეტოქეს ლამაზი გოლი შეუგდო.

ჰამბურგში იმ დღეს მეტი გოლი აღარ გასულა და არგენტინამაც პირველი სამი ქულა მოიპოვა. „ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან ძლიერი ნაკრები დავამარცხეთ. საერთო ჯამში ჩვენმა გუნდმა კარგად ითამაშა, ხოლო კოტ დივუარი ჩემპიონატის სენსაცია იქნება" — განაცხადა პეკერმანმა. „გამოცდილების არქონამ გვაზარალა. სხვა შემთხვევაში თამაშს მოვიგებდით" — ეს კოტ დივუარის დამრიგებლის, ანრი მიშელის სიტყვებია.

**ლადო ხომერიკი**



დროგბამ თავისი მაინც გაიტანა



მარადონა კმაყოფილი წავიდა




# სალამ-ქალამი

ლეო ბეენჰაკერი მობერებული ჩანს, თუმცა ყველამ ვიცით, რომ ჰოლანდიელი მწვრთნელები არასდროს ბერდებიან და ეს გარეგნული სიბერე მხოლოდ გარეგნულია, მოჩვენებითია. ჰოლანდიელ მწვრთნელებს უბერებელი და სამომავლო გონება აქვთ.

ტრინიდადზე კი ბევრი მზე, ძალიან ბევრი ქოქოსის ხე და სხვა ისეთი თავგადასავლებიცაა, რის გამოც ერთ დროს ენდი კოულს ცოლმა დუაიტ იორკთან მეგობრობა აუკრძალა. თუმცა, ეს ამბავი იქით იყოს და შაკა ჰისლოპი ერთადერთი მეკარეა მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელსაც უმაღლესი განათლება აქვს. კიდეც გამოადგა: განთქმულთა პირველი ორი ქულა წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე სწორედ მის კართან დაიფშვნა. ახლა შვედეთის ნაკრების დავთრებიდან თავკაცობას სულ სხვაგან აქვს საომარი, ტრინიდადელები კი ალბათ იმ დროისთვის მოიქანცებიან, როცა პარაგვაის ნაკრებს ბოლომდე გულზე მოუწევს მათთან თამაში. შვედების სხვა იმედი ინგლისს უკავშირდება — ინგლისმა ბოლოს მაშინ მოუგო მათ, როცა მწვრთნელად სერ ალფ რამსეი ჰყავდა. რამდენად გამოდგება ამ უცნაური ტრადიციის დასანგრევად დევიდ ბექჰემის ცისფერი ბუცები ანდა უეინ რუნის მოულოდნელად გართულებული ფეხი, ათიოდ დღეში დავინახავთ. ისიც ცხადია, რომ შვედებზე შვედი მიდის: თანაც ისეთი შვედი, რომელიც ასეთი თამამი და ლაღი არასდროს ყოფილა.

სვენ გორან ერიკსონი ისეთივე წარმატებით იქნებოდა იტალიის, კოსტა რიკის, ბრაზილიის, კოტ დივუარის და საერთოდ ყველას მწვრთნელი, როგორითაც ინგლისისაა. ოღონდ არ ვიცი, მოუგებდა თუ არა კოტ დივუარი მისი თავკაცობით არგენტინას. უყურებ ამ აფრიკელებს და ანრი მიშელს და სულ ის გახსენდება, რომ ეს კაცი საქართველოს ნაკრების მწვრთნელიც შეიძლებოდა ყოფილიყო. სარედაქციო კასეტებზე, მგონი, ახლაც დარჩენილია მისი მეუღლის, რუბას კეთილგანწყობილი და ფრანგულად მომხიბვლელი ხმა, ჩამოვალთ თბილისში, აბა, რას ვიზამთო. იმ დროისაა, როცა ჩვენი ფედერაცია მიშელს ელაპარაკებოდა.

გული მხოლოდ იმაზე მწყდება, რომ სპილოს ძვლის ხალხი ამხაირ ჯგუფში მოხვდა. თუმცა მაინც მგონია, რომ ისინი სერბებს აჯობებენ. რა აკლიათ ხოლმე აფრიკელებს, და, გადამწყვეტ მომენტში აკლიათ რაღაცა და აკლია ეს რაღაცა კოტ დივუარის ნაკრებსაც. მგონი ეს რაღაცა სავიოლას გოლს ჰგავს და თუმც, მსოფლიო მნიშვნელობის სიმულანტი და ძალიან მაგარი ფეხბურთელი დიდიე დროგბა კარის წინ ნამდვილი მხეცია — ის როგორღაც სულ საომარ-დასარტყმელ პოზიციებზე გადის ხოლმე, სავიოლა კი გაძვრება და წკაპ. თუმცა, არა მგონია, რომ დროგბა ადრიანოზე ნაკლები იყოს. კი, გასაგებია, ისე ვერ თხლიშავს ნებისმიერი ადგილიდან, როგორც ადრიანო და გარშემოც ჯადოქრები არ დაურბიან, რომლებიც ტელერეკლამასა და მინდორზე ლამის ერთნაირად ახერხებენ თამაშს, მაგრამ, ბრაზილიას არა ჰყავს ისეთი ვინმე, როგორიცაა, ვთქვათ, კოლო ტურე.

ვაი, ვაი, ვაი... უკვე ისეთი რამეების ლაპარაკი დავიწყე, რომ ჩვენს ქალაქში გავლა გაჭირდება. ჩვენს ქალაქში ხომ ამბობენ, ბრაზილია ყველაზე ათი თავით მაგარიაო და, კოლო ტურეს რომ ვაქებდი, მისი ლონდონელი თანაგუნდელი, ჟილბერტო სილვა მაინც უნდა გავიხსენო: მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო საყრდენი. საერთოდ კი, ბრაზილიას ყველაფერი საუკეთესო აქვს. რონალდინიო, მაგალითად, იმ დღეს ტელევიზორში თქვეს, რონალდინიო მარადონასაც კი სჯობსო. ამ ნათქვამით ეგებ ისიც კი გამოვიდეს, რომ რონალდინიო პელესაც სჯობს, მარკო ვან ბასტენი — კრუიფს, კანტონა — პლატინის, ბექჰემი — ბესტს. თუმცა, მაინც ძალიან ხმადაბლა და შეპარავად ვკითხავდი, შინაურ წრეში, დაკეტილ ფანჯრებში და ტელევიზორის აწეულ ხმაზე (ისე, რომ დაზვერვამ, ენკავედემ, ცეერუმ და სხვებმა არ გამიგონ): რონალდინიო ზიკოზე მაგარია? კაი, არ მინდა, რონალდინიო რომარიოზე მაგარია?

ბრაზილია ხომ საოცრებაა. იქ ერთ სულ მოსახლეზე ლამის ერთივე საფეხბურთო ჯადოქარი მოდის. რონალდინიოს სრულიად წარმოუდგენელი ფეხები აქვს, დღეს მსოფლიოში არავის აქვს ასეთი ფეხები. ეს ფეხები სასწაულებს სჩადის: პასები რაღაცნაირია — თითქოს ფანქრით, შენ ჭკუაზე ხატავ რაღაცას ფურცელზე. მერე ვილაცების ზურგსუკნიდან ლიუდოვიკ ჟიული შემოვარდება, სრულიად მოულოდნელად სამუელ ეტოო მოფრინდება, ანდა, ვილას ეგონა და, სეზონის მოხუცი ჰენრიკ ლარსონი გაიჭიმება.

სადღაც სხვაგან წავედი.

ჰო, ჰენრიკ ლარსონი ტრინიდადთან ვერ გაიჭიმა, ისევ პირველსა სიტყვასა რომ მოვიდეთ.

ფეხბურთი ასეთი თამაშია: ყოველდღე სხვადასხვანაირი გამოდის და მხოლოდ ერთეულებს ძალუძთ, რომ საჭირო დროს და საჭირო საათს დაბარებულივით იყვნენ დიადნი.

ფრანკფურტს ჩასულმა ინგლისელმა ფანებმა კი მეორე მსოფლიო ომის დროინდელი საბრძოლო სიმღერები დააგუგუნეს, რამაც გერმანელები არ გაახარა. საერთოდ, ინგლისელები ყოველთვის დიდი ოსტატობით ახსენებენ ხოლმე გერმანელებს წარსულს, გერმანელები კი იტყვიან ხოლმე: ტოფიკ ბახრამოვიო. ოღონდ, ამ გახსენებებში სხვაობა ერთია: ინგლისელები უფრო ხალხურად ახერხებენ ამას, გერმანელები კი სერიოზულად: მედიის საშუალებით და 40 წლის წინანდელი ამბების კომპიუტერული კვლევებით.

ჰო, ახლა ის გამახსენდა, რომ ერთ ბარში ერთხელ პაულო სესარ ვანჩოპეს გადავეყარე. შედარებისთვის ბოდიში მომიხდია, მაგრამ თუ რონალდინიოს მსოფლიოში საუკეთესო ფეხები აქვს, სესარსაც თავის წილ ძალიან თავისებური ფეხები აქვს. მაშინ ვკითხე, ეგრე როგორ დარბიხარ-მეთქი და მხრები აიჩეჩა, რავი, დავრბივარო, არ უსწავლებიათო. საერთოდ, ფეხბურთელებთან ლაპარაკი მაშინ სჯობს, როცა ისინი თამაშს თავს დაანებებენ და ბიძობის ასაკს მიუკაკუნებენ.

არ ვიცი, როგორი ბიძები იქნებიან ვანჩოპე და რონალდინიო, მაგრამ ლაპარაკი საინტერესო იქნება. ისევ ფეხებს რომ მივუბრუნდეთ, პოლონელებმა სწორედ ხის ფეხების გამო წააგეს ეკვადორთან. ტენორიო კიდევ ისეთი ბიჭი ჩანს, რომ ყველას ძალიან გამოადგებოდა.

აბა, აღარ ვიცი: არგენტინა — კოტ დივუარი მომეწონა და შვედეთი — ტრინიდადი.

და გერმანია რაღას აპირებს. ცხადია, რომ პირველ თამაშებში ყველა ბოლომდე ძალების დაზოგვით ცდილობს ფონს გასვლას. თუმცა ამ დაზოგვის უკან სიღრმე და ძალა იგრძნობა. აბა, თავსა ჰკითხეთ, გერმანელებში იგრძნობოდა? თუმცა, ბალაკი გამოვაო და თუ ბალაკი გამოვა... მაგრამ, მგონი, ესეც ჩუმად უნდა ვთქვათ, ვინმეს არ ეწყინოს. ჩვენთან ხომ წყენით ბალეშიკობენ. ნეტავ კი, ჩვენს საერთაშორისო გულშემატკივარს ენახა სადმე ცოცხალი, ნამდვილი ბრაზილიელი ანდა ინგლისელი გულშემატკივარი. მაშინ დაინახავდა, რომ ფეხბურთის ქომაგობაში „მე“ არ არსებობს, არამედ მხოლოდ „ჩვენ“ და კიდევ დიდი, დიდი, სიამოვნება და ნამდვილი განცდები.

ჰო, ტოგოს ტრენერი გაქცევია.



# პელეზე ოთხი სანტიმეტრით მაღალი

**ბრაზილიის** ნაკრების ლიდერი რონალდინიო მედიის ყურადღების ცენტრშია. „ზიუდდოიჩე ცაიტუნგთან“ ინტერვიუში ლეგენდარულმა პელემ ბარსელონელზე ისაუბრა.

„შეიძლება, რონალდინიო თქვენზე დიდი გახდეს?“ — შეეკითხნენ მითიურ კაცს ჟურნალისტები.

„ამაზე ადვილად გიპასუხებთ — რონალდინიო უკვე ჩემზე დიდია... ოთხი სანტიმეტრით. იგი ტექნიკურად ძალიან ძლიერია, თუმცა არა ისეთი გადამწყვეტი საჭირო დროს, როგორც, მაგალითად, კაკა გახლავთ“ — თქვა ედსონ არანტეს დუ ნასიმენტომ.

პელეს აზრით, მსოფლიოს არც ერთ მწვრთნელს არ აქვს ისეთი თავსატეხი, როგორც კარლოს ალბერტო პარეირას. „ბრაზილიას ისეთი ბრწყინვალე გუნდი ჰყავს, რომ მწვრთნელისთვის რთული გადასაწყვეტია, ძირითადში ვინ დააყენოს. ჩვენი გუნდის უმთავრესი პრობლემა, რაოდენ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, ვარსკვლავთა სიჭარბეა. თუ პარეირამ ოპტიმალური შემადგენლობა დაადგინა, ჩემპიონატსაც მოიგებს“ — აღნიშნა პელემ.

„ზიუდდოიჩე ცაიტუნგთან“ საუბრის დასასრულს დუ ნასიმენტომ განაცხადა, რონალდინიო, კაკა და მათი მეგობრები ძლიერნი არიან, თუმც 1970 წლის ბრაზილიის ნაკრებში უფრო მაგარი ბიჭები ვთამაშობდითო. პელეს ერთი ფავორიტი მოსისხლეთა ბანაკიდანაც შეურჩევია: „ლეო მესი გერმანიაში გაიბრწყინებს. არგენტინა მარადონას შემდეგ ასეთი ვარსკვლავით ვერ დაიკვეხნის...“

**ლადო ხომერიკი**





# ირურეტა გამწვავანდა



**ესპანური** „ბეტისის“ მწვრთნელი მომავალ სეზონში ხავიერ ირურეტა იქნება. „დეპორტივოს“ ძველი ლეგენდა ახლა სევილიურ კლუბში მივდა სათავგადასავლოდ და ერთზე მეტი სეზონითაც გაწვრთნის, „ბეტისმა“ მისი მეთაურობით 2006-07-ში საევროტურნირო ადგილი თუ მოიპოვა.

ირურეტას „მწვანეების“ დამრიგებლად ოფიციალურად საშაბათს წარადგენენ. მან სამწვრთნელო კარიერა ბასკურ „გეჩო ბისკაინოში“ დაიწყო, შემდეგ „სესტაოში“ გადავიდა და პირველად პრიმერადივიზიონში „ლოგრონიესი“ გაწვრთნა 1988-89 წლების სეზონშიში.

„ლოგრონიესის“ შემდეგ ირურეტამ „დეპორტივომდე“ „ოვიედო“ და ვიგოს „სელტა“ გამოიცვალა. „დეპორში“ 1998 წელს მივიდა და 2005-მდე მწვრთნელობდა „რიასორზე“. ხავიერ ირურეტამ გალისიურ ფლაგმანს პრიმერას ჩემპიონობა (1999-2000), კოპა დელ რეი (2002) და ორჯერ ესპანეთის სუპერთასი (2000 და 2002) მოაგებინა.

„ბეტისის“ ძველი მწვრთნელი, ლორენცო სერა ფერერი კი, საბერძნეთს გაემგზავრა. „სერა“ მომავალი ორი სეზონის განმავლობაში ათენურ „აეკში“ იმუშავებს.

**ლადო ხომერიკი**

# სარბიელი და კროკი

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში** | | | | | | |
| | | **12 ივნისი** | | | | | | |
| 23:00 | 15 | იტალია-განა | 1.50 | 3.60 | 7.00 | 1.05 | 1.23 | 2.37 |
| 23:00 | 16 | იტალია-განა 0:1 | 2.40 | 3.40 | 2.35 | | | |
| 20:00 | 17 | ჩეხეთი-აშშ | 2.00 | 3.20 | 3.80 | 1.23 | 1.31 | 1.73 |
| 17:00 | 18 | იაპონია-ავსტრალია | 2.75 | 3.20 | 2.45 | 1.47 | 1.29 | 1.38 |
| | | **13 ივნისი** | | | | | | |
| 17:00 | 19 | ს.კორეა-ტოგო | 2.10 | 3.10 | 3.50 | 1.25 | 1.31 | 1.64 |
| 20:00 | 20 | საფრანგეთი-შვეიცარია | 1.65 | 3.30 | 5.50 | 1.10 | 1.26 | 2.06 |
| 23:00 | 21 | ბრაზილია-ხორვატია | 1.45 | 3.60 | 7.80 | 1.03 | 1.22 | 2.46 |
| 23:00 | 22 | ბრაზილია-ხორვატია 0:1 | 2.10 | 3.50 | 2.40 | | | |
| | | **14 ივნისი** | | | | | | |
| 17:00 | 23 | ესპანეთი-უკრაინა | 1.80 | 3.20 | 4.70 | 1.15 | 1.30 | 1.90 |
| 20:00 | 24 | ტუნისი-ს.არაბეთი | 1.95 | 3.10 | 3.85 | 1.19 | 1.29 | 1.71 |
| 23:00 | 207 | გერმანია-პოლონეთი | 1.50 | 3.50 | 6.50 | 1.04 | 1.21 | 2.27 |
| | | **15 ივნისი** | | | | | | |
| 17:00 | 158 | ეკვადორი-კოსტა რიკა | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| 20:00 | 159 | ინგლისი-ტრინიდადი | 1.16 | 5.80 | 16.00 | 1.00 | 1.08 | 4.25 |
| 23:00 | 161 | შვედეთი-პარაგვაი | 1.80 | 3.20 | 4.50 | 1.15 | 1.28 | 1.87 |
| | | **16 ივნისი** | | | | | | |
| 17:00 | 162 | არგენტინა-სერბეთი | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 20:00 | 164 | ჰოლანდია-კოტ დივუარი | 1.65 | 3.30 | 5.50 | 1.10 | 1.26 | 2.06 |
| 23:00 | 166 | მექსიკა-ანგოლა | 1.50 | 3.60 | 6.50 | 1.05 | 1.21 | 2.31 |
| | | **17 ივნისი** | | | | | | |
| 17:00 | 168 | პორტუგალია-ირანი | 1.45 | 3.90 | 7.50 | 1.05 | 1.21 | 2.56 |
| 20:00 | 170 | ჩეხეთი-განა | 1.65 | 3.40 | 5.20 | 1.11 | 1.25 | 2.05 |
| 23:00 | 171 | იტალია-აშშ | 1.60 | 3.40 | 6.00 | 1.08 | 1.26 | 2.17 |
| | | **18 ივნისი** | | | | | | |
| 17:00 | 173 | იაპონია-ხორვატია | 4.00 | 3.30 | 1.85 | 1.80 | 1.26 | 1.18 |
| 20:00 | 174 | ბრაზილია-ავსტრალია | 1.25 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.43 |
| 23:00 | 176 | საფრანგეთი-ს კორეა | 1.40 | 3.90 | 8.00 | 1.03 | 1.19 | 2.62 |
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 17:00 | 178 | ტოგო-შვეიცარია | 5.30 | 3.40 | 1.65 | 2.07 | 1.25 | 1.11 |
| 20:00 | 179 | ს.არაბეთი-უკრაინა | 9.00 | 3.90 | 1.38 | 2.72 | 1.19 | 1.01 |
| 23:00 | 180 | ესპანეთი-ტუნისი | 1.45 | 3.60 | 7.50 | 1.03 | 1.21 | 2.43 |
| | | **20 ივნისი** | | | | | | |
| 18:00 | 182 | ეკვადორი-გერმანია | 8.50 | 4.30 | 1.35 | 2.85 | 1.16 | 1.02 |
| 18:00 | 183 | კოსტა რიკა-პოლონეთი | 5.00 | 3.40 | 1.70 | 2.02 | 1.26 | 1.13 |
| 23:00 | 184 | პარაგვაი-ტრინიდადი | 1.50 | 3.60 | 7.00 | 1.05 | 1.23 | 2.37 |
| 23:00 | 186 | შვედეთი-ინგლისი | 3.70 | 3.20 | 1.95 | 1.71 | 1.27 | 1.21 |
| | | **21 ივნისი** | | | | | | |
| 18:00 | 187 | პორტუგალია-მექსიკა | 2.15 | 3.10 | 3.30 | 1.26 | 1.30 | 1.59 |
| 18:00 | 188 | ირანი-ანგოლა | 2.30 | 3.20- | 2.85 | 1.33 | 1.27 | 1.50 |
| 23:00 | 189 | ჰოლანდია-არგენტინა | 3.00 | 3.10 | 2.30 | 1.52 | 1.30 | 1.32 |
| 23:00 | 190 | კოტ დივუარი-სერბეთი | 2.55 | 3.20 | 2.55 | 1.41 | 1.27 | 1.41 |
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| 18:00 | 191 | ჩეხეთი-იტალია | 3.15 | 3.10 | 2.20 | 1.56 | 1.29 | 1.28 |
| 18:00 | 192 | განა-აშშ | 3.20 | 3.20 | 2.15 | 1.60 | 1.28 | 1.28 |
| 23:00 | 193 | ხორვატია-ავსტრალია | 1.95 | 3.20 | 3.70 | 1.21 | 1.27 | 1.71 |
| 23:00 | 194 | იაპონია-ბრაზილია | 10.00 | 5.50 | 1.25 | 3.54 | 1.11 | 1.01 |
| | | **23 ივნისი** | | | | | | |
| 18:00 | 195 | უკრაინა-ტუნისი | 1.75 | 3.30 | 4.50 | 1.14 | 1.25 | 1.90 |
| 18:00 | 197 | ს.არაბეთი-ესპანეთი | 12.00 | 5.50 | 1.20 | 3.77 | 1.09 | 1.00 |
| 23:00 | 198 | შვეიცარია-ს კორეა | 1.95 | 3.20 | 3.70 | 1.21 | 1.27 | 1.71 |
| 23:00 | 199 | ტოგო-საფრანგეთი | 9.00 | 4.80 | 1.30 | 3.13 | 1.13 | 1.02 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **12 ივნისი** | | | | | | |
| 21:00 | 87 | ლანდსკრონა-სუნდსვალი | 1.75 | 3.40 | 3.80 | 1.15 | 1.19 | 1.79 |
| 21:00 | 88 | ნორჩიოპინგი-ლიუნგსკილე | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15015 | იტალია-განა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15017 | ჩეხეთი-აშშ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15018 | იაპონია-ავსტრალია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15019 | ს.კორეა-ტოგო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15020 | საფრანგეთი-შვეიცარია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15021 | ბრაზილია-ხორვატია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15023 | ესპანეთი-უკრაინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15024 | ტუნისი-ს.არაბეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16015 | იტალია-განა | 1.16 | 3.80 |
| 16017 | ჩეხეთი-აშშ | 1.32 | 2.60 |
| 16018 | იაპონია-ავსტრალია | 1.80 | 1.80 |
| 16019 | ს.კორეა-ტოგო | 1.50 | 2.20 |
| 16020 | საფრანგეთი-შვეიცარია | 1.25 | 3.00 |
| 16021 | ბრაზილია-ხორვატია | 1.13 | 4.00 |
| 16023 | ესპანეთი-უკრაინა | 1.30 | 2.75 |
| 16024 | ტუნისი-ს.არაბეთი | 1.35 | 2.50 |

### გოლი: წყვილი-1/კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17015 | იტალია-განა | 1.85 | 1.95 |
| 17017 | ჩეხეთი-აშშ | 1.85 | 1.95 |
| 17018 | იაპონია-ავსტრალია | 1.85 | 1.95 |
| 17019 | ს.კორეა-ტოგო | 1.85 | 1.95 |
| 17020 | საფრანგეთი-შვეიცარია | 1.85 | 1.95 |
| 17021 | ბრაზილია-ხორვატია | 1.85 | 1.95 |
| 17023 | ესპანეთი-უკრაინა | 1.85 | 1.95 |
| 17024 | ტუნისი-ს.არაბეთი | 1.85 | 1.95 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12015 | იტალია-განა | 1.70 | 1.90 |
| 12017 | ჩეხეთი-აშშ | 1.70 | 1.90 |
| 12018 | იაპონია-ავსტრალია | 1.60 | 2.00 |
| 12019 | ს.კორეა-ტოგო | 1.60 | 2.00 |
| 12020 | საფრანგეთი-შვეიცარია | 1.60 | 2.00 |
| 12021 | ბრაზილია-ხორვატია | 1.80 | 1.80 |
| 12023 | ესპანეთი-უკრაინა | 1.60 | 2.00 |
| 12024 | ტუნისი-ს.არაბეთი | 1.60 | 2.00 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 13015 | იტალია-განა | 1.90 | 1.60 |
| 13017 | ჩეხეთი-აშშ | 1.70 | 1.90 |
| 13018 | იაპონია-ავსტრალია | 1.70 | 1.90 |
| 13019 | ს.კორეა-ტოგო | 1.80 | 1.80 |
| 13020 | საფრანგეთი-შვეიცარია | 1.80 | 1.80 |
| 13021 | ბრაზილია-ხორვატია | 1.70 | 1.80 |
| 13023 | ესპანეთი-უკრაინა | 1.70 | 1.90 |
| 13024 | ტუნისი-ს.არაბეთი | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14015 | იტალია-განა | 1.20 | 2.60 |
| 14017 | ჩეხეთი-აშშ | 1.60 | 2.20 |
| 14018 | იაპონია-ავსტრალია | 1.90 | 1.90 |
| 14019 | ს.კორეა-ტოგო | 1.70 | 2.10 |
| 14020 | საფრანგეთი-შვეიცარია | 1.40 | 2.40 |
| 14021 | ბრაზილია-ხორვატია | 1.20 | 2.60 |
| 14023 | ესპანეთი-უკრაინა | 1.35 | 2.40 |
| 14024 | ტუნისი-ს.არაბეთი | 1.60 | 2.20 |

### ვინ დაიწყებს თამაშს

| | | | |
|---|---|---|---|
| 19015 | იტალია-განა | 1.85 | 1.85 |
| 19017 | ჩეხეთი-აშშ | 1.85 | 1.85 |
| 19018 | იაპონია-ავსტრალია | 1.85 | 1.85 |
| 19019 | ს.კორეა-ტოგო | 1.85 | 1.85 |
| 19020 | საფრანგეთი-შვეიცარია | 1.85 | 1.85 |
| 19021 | ბრაზილია-ხორვატია | 1.85 | 1.85 |
| 19023 | ესპანეთი-უკრაინა | 1.85 | 1.85 |
| 19024 | ტუნისი-ს.არაბეთი | 1.85 | 1.85 |

### ვინ მოაწვდის პირველ კუთხურს (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 20015 | იტალია-განა | 1.60 | 2.00 |
| 20017 | ჩეხეთი-აშშ | 1.70 | 1.90 |
| 20018 | იაპონია-ავსტრალია | 1.80 | 1.80 |
| 20019 | ს.კორეა-ტოგო | 1.70 | 1.90 |
| 20020 | საფრანგეთი-შვეიცარია | 1.60 | 2.00 |
| 20021 | ბრაზილია-ხორვატია | 1.50 | 2.10 |
| 20023 | ესპანეთი-უკრაინა | 1.60 | 1.95 |
| 20024 | ტუნისი-ს.არაბეთი | 1.70 | 1.90 |

### კუთხურების რაოდენობა (ძირ. დრო) 10,5

| | | | |
|---|---|---|---|
| 22015 | იტალია-განა | 1.70 | 2.00 |
| 22017 | ჩეხეთი-აშშ | 1.70 | 2.00 |
| 22018 | იაპონია-ავსტრალია | 1.70 | 2.00 |
| 22019 | ს.კორეა-ტოგო | 1.80 | 1.90 |
| 22020 | საფრანგეთი-შვეიცარია | 1.80 | 1.90 |
| 22021 | ბრაზილია-ხორვატია | 1.80 | 1.80 |
| 22023 | ესპანეთი-უკრაინა | 1.80 | 1.90 |
| 22024 | ტუნისი-ს.არაბეთი | 1.70 | 2.00 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10015 | იტალია-განა | 1.75 | 2.50 | 5.50 | 1.02 | 1.32 | 1.71 |
| 10017 | ჩეხეთი-აშშ | 2.40 | 2.00 | 4.00 | 1.09 | 1.50 | 1.33 |
| 10018 | იაპონია-ავსტრალია | 2.90 | 2.00 | 2.90 | 1.18 | 1.45 | 1.18 |
| 10019 | ს.კორეა-ტოგო | 2.50 | 2.00 | 3.90 | 1.11 | 1.52 | 1.32 |
| 10020 | საფრანგეთი-შვეიცარია | 2.00 | 2.00 | 6.00 | 1.00 | 1.50 | 1.50 |
| 10021 | ბრაზილია-ხორვატია | 1.70 | 2.30 | 6.00 | 1.00 | 1.32 | 1.66 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11015 | იტალია-განა | 2.00 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11017 | ჩეხეთი-აშშ | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11018 | იაპონია-ავსტრალია | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11019 | ს.კორეა-ტოგო | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11020 | საფრანგეთი-შვეიცარია | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11021 | ბრაზილია-ხორვატია | 1.90 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11023 | ესპანეთი-უკრაინა | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11024 | ტუნისი-ს.არაბეთი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |

# სხვა სახის ფსონებზ გაეცნობით ადგილზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რომელ ჯგუფში გავა ყველაზე მეტი გოლი

9 ივნისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 18:00 | 9201 | ყველაზე მეტი გოლი | ჯგუფი A | 7.00 |
| 18:00 | 9201 | ყველაზე მეტი გოლი | ჯგუფი F | 5.00 |
| 18:00 | 9201 | ყველაზე მეტი გოლი | ჯგუფი H | 6.00 |
| 18:00 | 9201 | ყველაზე მეტი გოლი | ჯგუფი C | 12.00 |
| 18:00 | 9201 | ყველაზე მეტი გოლი | ჯგუფი D | 5.20 |
| 18:00 | 9201 | ყველაზე მეტი გოლი | ჯგუფი E | 7.50 |
| 18:00 | 9201 | ყველაზე მეტი გოლი | ჯგუფი B | 5.50 |
| 18:00 | 9201 | ყველაზე მეტი გოლი | ჯგუფი G | 6.20 |

## რომელი კონტინენტი მოიგებს მსოფლიო თასს

9 ივნისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 18:00 | 9301 | გამარჯვებული | ევროპა(14) | 1.30 |
| 18:00 | 9301 | გამარჯვებული | ავსტრალია | 100.00 |
| 18:00 | 9301 | გამარჯვებულ | ჩრ.ამერიკა | 70.00 |
| 18:00 | 9301 | გამარჯვებული | აზია(4) | 60.00 |
| 18:00 | 9301 | გამარჯვებული | ც.ამერიკა(3) | 30.00 |
| 18:00 | 9301 | გამარჯვებული | სამ.ამერიკა(4) | 2.10 |
| 18:00 | 9301 | გამარჯვებული | აფრიკა(5) | 30.00 |

## ვინ გახდება მჩ 2006-ის ბომბარდირი. 9501. 9 ივნისი. 18.00

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კლოზე | 28.00 | რონალდო | 10.00 | კუქმანი | 65.00 | ლარსონი | 45.00 | დელ პიერო | 38.00 |
| მაკაი | 32.00 | შევჩენკო | 20.00 | ადრიანო | 10.00 | ნედვედი | 65.00 | მესი | 35.00 |
| დროგბა | 45.00 | რონალდინიო | 11.00 | პრსო | 55.00 | ხისე | 45.00 | ოუენი | 13.00 |
| ჯილარდინო | 25.00 | ანრი | 13.00 | ბეკჰემი | 48.00 | კრაუჩი | 40.00 | ბაროში | 40.00 |
| ვილა | 25.00 | კრესპო | 15.00 | გომესი | 50.00 | ვიერი | 30.00 | ლამპარდი | 45.00 |
| ტორესი | 25.00 | ტონი | 15.00 | ბალაკი | 48.00 | ქეიტი | 30.00 | ტოტი | 30.00 |
| პოდოლსკი | 25.00 | ვან ნისტელროი | 15.00 | კაკა | 48.00 | პაულეტა | 32.00 | კოლერი | 65.00 |
| რუნი | 17.00 | ზიდანი | 60.00 | ვენეგორი | 45.00 | რაული | 35.00 | ტრეზეგე | 20.00 |
| დეკო | 60.00 | ტევესი | 30.00 | ბორგეტი | 45.00 | რობინიო | 31.00 | იბრაჰიმოვიჩი | 40.00 |

## მსოფლიოს თასი 2006 9 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 18:00 | 9012 | იაპონია | 130.00 |
| 18:00 | 9012 | ბრაზილია | 3.20 |
| 18:00 | 9012 | გერმანია | 7.50 |
| 18:00 | 9012 | პორტუგალია | 18.00 |
| 18:00 | 9012 | ესპანეთი | 12.00 |
| 18:00 | 9012 | პოლონეთი | 15.00 |
| 18:00 | 9012 | საფრანგეთი | 10.00 |
| 18:00 | 9012 | ანგოლა | 380.00 |
| 18:00 | 9012 | კოტ დ'ივუარი | 80.00 |
| 18:00 | 9012 | ტრინიდადი | 800.00 |
| 18:00 | 9012 | ს.არაბეთი | 600.00 |
| 18:00 | 9012 | ირანი | 450.00 |
| 18:00 | 9012 | ტოგო | 290.00 |
| 18:00 | 9012 | ს კორეა | 250.00 |
| 18:00 | 9012 | ავსტრალია | 80.00 |
| 18:00 | 9012 | ჰოლანდია | 75.00 |
| 18:00 | 9012 | ჩეხეთი | 25.00 |
| 18:00 | 9012 | შვედეთი | 28.00 |
| 18:00 | 9012 | მექსიკა | 40.00 |
| 18:00 | 9012 | უკრაინა | 45.00 |
| 18:00 | 9012 | ხორვატია | 50.00 |
| 18:00 | 9012 | ტუნისი | 280.00 |
| 18:00 | 9012 | აშშ | 95.00 |
| 18:00 | 9012 | განა | 190.00 |
| 18:00 | 9012 | კოსტა რიკა | 500.00 |
| 18:00 | 9012 | შვეიცარია | 100.00 |
| 18:00 | 9012 | სერბეთი | 100.00 |
| 18:00 | 9012 | ეკვადორი | 120.00 |
| 18:00 | 9012 | პარაგვაი | 130.00 |
| 18:00 | 9012 | ინგლისი | 6.50 |
| 18:00 | 9012 | იტალია | 8.50 |
| 18:00 | 9012 | არგენტინა | 9.00 |

## მსოფლიოს თასი 2006. 9 ივნისი. ჯგუფში I ადგილი

**ჯგუფი A 9101**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | გერმანია | 1.35 |
| 18:00 | კოსტა რიკა | 15.00 |
| 18:00 | ეკვადორი | 9.00 |
| 18:00 | პოლონეთი | 4.50 |

**ჯგუფი B 9102**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | ტრინიდადი | 35.00 |
| 18:00 | პარაგვაი | 7.00 |
| 18:00 | ინგლისი | 1.45 |
| 18:00 | შვედეთი | 3.10 |

**ჯგუფი C 9103**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | სერბეთი | 9.00 |
| 18:00 | კოტ დ'ივუარი | 9.00 |
| 18:00 | ჰოლანდია | 2.40 |
| 18:00 | არგენტინა | 1.95 |

**ჯგუფი D 9104**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | პორტუგალია | 1.80 |
| 18:00 | ირანი | 10.00 |
| 18:00 | ანგოლა | 12.00 |
| 18:00 | მექსიკა | 2.10 |

**ჯგუფი E 9105**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | იტალია | 1.65 |
| 18:00 | განა | 10.00 |
| 18:00 | ჩეხეთი | 3.00 |
| 18:00 | აშშ | 7.00 |

**ჯგუფი F 9106**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | იაპონია | 12.00 |
| 18:00 | ავსტრალია | 12.00 |
| 18:00 | ხორვატია | 6.20 |
| 18:00 | ბრაზილია | 1.20 |

**ჯგუფი G 9107**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | საფრანგეთი | 1.30 |
| 18:00 | შვეიცარია | 4.80 |
| 18:00 | ტოგო | 15.00 |
| 18:00 | ს კორეა | 10.00 |

**ჯგუფი H 9108**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | ტუნისი | 8.50 |
| 18:00 | ს.არაბეთი | 30.00 |
| 18:00 | უკრაინა | 3.00 |
| 18:00 | ესპანეთი | 1.50 |

## ვინ შეხვდება ერთმანეთს ფინალში. 9 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 18:00 | 9401 | ჩეხ-ხორვ | 500.00 |
| 18:00 | 9401 | შვედ-უკრ | 500.00 |
| 18:00 | 9401 | შვედ-ხორვ | 700.00 |
| 18:00 | 9401 | მექს-ხორვ | 900.00 |
| 18:00 | 9401 | მექს-უკრ | 700.00 |
| 18:00 | 9401 | ინგლ-ხორვ | 150.00 |
| 18:00 | 9401 | საფრ-პორტ | 65.00 |
| 18:00 | 9401 | ჩეხ-შვედ | 240.00 |
| 18:00 | 9401 | საფრ-უკრ | 200.00 |
| 18:00 | 9401 | არგ-შვედ | 100.00 |
| 18:00 | 9401 | არგ-მექს | 95.00 |
| 18:00 | 9401 | პოლ-პორტ | 80.00 |
| 18:00 | 9401 | შვედ-მექს | 400.00 |
| 18:00 | 9401 | გერ-შვედ | 80.00 |
| 18:00 | 9401 | საფრ-ჩეხეთ | 80.00 |
| 18:00 | 9401 | ესპ-მექს | 200.00 |
| 18:00 | 9401 | პორტ-შვედ | 200.00 |
| 18:00 | 9401 | ინგლ-მექს | 75.00 |
| 18:00 | 9401 | ბრაზ-უკრ | 75.00 |
| 18:00 | 9401 | იტალ-მექს | 95.00 |
| 18:00 | 9401 | იტალ-ჩეხ | 65.00 |
| 18:00 | 9401 | იტალ-შვედ | 100.00 |
| 18:00 | 9401 | ინგლ-ჩეხეთ | 65.00 |
| 18:00 | 9401 | ბრაზ-შვედ | 65.00 |
| 18:00 | 9401 | ბრაზ-მექს | 60.00 |
| 18:00 | 9401 | არგ-ჩეხეთ | 60.00 |
| 18:00 | 9401 | გერ-ჩეხეთ | 48.00 |
| 18:00 | 9401 | იტალ-პორტ | 50.00 |
| 18:00 | 9401 | ჩეხ-უკრ | 500.00 |
| 18:00 | 9401 | არგ-პორტ | 45.00 |
| 18:00 | 9401 | ჰოლან-ესპ | 40.00 |
| 18:00 | 9401 | ჰოლ-უკრ | 250.00 |
| 18:00 | 9401 | ბრაზ-ხორვ | 70.00 |
| 18:00 | 9401 | ხორვ-უკრ | 800.00 |
| 18:00 | 9401 | ჰოლ-ხორვ | 280.00 |
| 18:00 | 9401 | პორტ-უკრ | 300.00 |
| 18:00 | 9401 | ესპ-ხორვ | 300.00 |
| 18:00 | 9401 | ჩეხ-მექს | 370.00 |
| 18:00 | 9401 | პორტ-ხორვ | 380.00 |
| 18:00 | 9401 | ესპ-პორტ | 80.00 |
| 18:00 | 9401 | ესპ-უკრ | 250.00 |
| 18:00 | 9401 | ჰოლ-მექს | 200.00 |
| 18:00 | 9401 | არგ-ესპ | 25.00 |
| 18:00 | 9401 | ბრაზ-ჩეხეთ | 40.00 |
| 18:00 | 9401 | ინგლ-ესპ | 32.00 |
| 18:00 | 9401 | ბრაზ-პორტ | 32.00 |
| 18:00 | 9401 | ბრა-ესპ | 28.00 |
| 18:00 | 9401 | იტალ-ესპ | 28.00 |
| 18:00 | 9401 | იტალ-საფრ | 25.00 |
| 18:00 | 9401 | გერ-ესპ | 25.00 |
| 18:00 | 9401 | ინგლ-გერ | 11.00 |
| 18:00 | 9401 | ინგლ-იტალ | 11.00 |
| 18:00 | 9401 | გერ-საფრ | 25.00 |
| 18:00 | 9401 | ინგლ-პორტ | 40.00 |
| 18:00 | 9401 | ინგლ-საფ | 13.00 |
| 18:00 | 9401 | არგ-გერ | 16.00 |
| 18:00 | 9401 | ინგლ-არგ | 11.00 |
| 18:00 | 9401 | ბრა-ჰოლ | 16.00 |
| 18:00 | 9401 | არგ-საფრ | 25.00 |
| 18:00 | 9401 | იტალ-ჰოლან | 22.00 |
| 18:00 | 9401 | გერ-ჰოლან | 20.00 |
| 18:00 | 9401 | არგ-იტალ | 20.00 |
| 18:00 | 9401 | გერ-იტალ | 18.00 |
| 18:00 | 9401 | გერ-მექს | 100.00 |
| 18:00 | 9401 | ინგლ-ჰოლან | 25.00 |
| 18:00 | 9401 | ჰოლ-შვედ | 125.00 |
| 18:00 | 9401 | პორტ-მექს | 200.00 |
| 18:00 | 9401 | საფრ-ესპ | 40.00 |
| 18:00 | 9401 | პორტ-ჩეხ | 150.00 |
| 18:00 | 9401 | იტალ-ხორვ | 150.00 |
| 18:00 | 9401 | ჰოლ-ჩეხ | 100.00 |
| 18:00 | 9401 | საფრ-მექს - | 150.00 |
| 18:00 | 9401 | ინგლ-შვედ | 40.00 |
| 18:00 | 9401 | არგ-ხორ | 150.00 |
| 18:00 | 9401 | საფრ-ჰოლან | 33.00 |
| 18:00 | 9401 | იტალ-უკრ | 130.00 |
| 18:00 | 9401 | გერ-პორტ | 40.00 |
| 18:00 | 9401 | გერ-უკრ | 125.00 |
| 18:00 | 9401 | ბრა-იტალ | 7.00 |
| 18:00 | 9401 | ბრა-გერ | 6.00 |
| 18:00 | 9401 | ესპ-შვედ | 125.00 |
| 18:00 | 9401 | ბრა-არგ | 6.50 |
| 18:00 | 9401 | საფრ-შვედ | 125.00 |
| 18:00 | 9401 | ბრა-ინგლ | 8.50 |
| 18:00 | 9401 | ბრა-საფრ | 11.00 |
| 18:00 | 9401 | გერ-ხორვ | 150.00 |
| 18:00 | 9401 | საფრ-ხორვ | 240.00 |
| 18:00 | 9401 | ესპ-ჩეხ | 100.00 |
| 18:00 | 9401 | არგ-უკრ | 120.00 |
| 18:00 | 9401 | ინგლ-უკრ | 125.00 |

## მსოფლიოს თასი 2006. 9 ივნისი. ჯგუფიდან გასვლა

**ჯგუფი A 9601**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | კოსტა რიკა | 5.00 |
| 18:00 | გერმანია | 1.07 |
| 18:00 | პოლონეთი | 1.45 |
| 18:00 | ეკვადორი | 2.80 |

**ჯგუფი B 9602**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | ინგლისი | 1.11 |
| 18:00 | შვედეთ | 1.30 |
| 18:00 | ტრინიდადი | 13.00 |
| 18:00 | პარაგვაი | 2.50 |

**ჯგუფი C 9603**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | კოტ დ'ივუარი | 3.00 |
| 18:00 | სერბეთი | 3.00 |
| 18:00 | არგენტინა | 1.20 |
| 18:00 | ჰოლანდია | 1.30 |

**ჯგუფი D 9604**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | ირანი | 4.00 |
| 18:00 | ანგოლა | 5.00 |
| 18:00 | პორტუგალია | 1.14 |
| 18:00 | მექსიკა | 1.22 |

**ჯგუფი E 9605**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | განა | 4.00 |
| 18:00 | იტალია | 1.15 |
| 18:00 | ჩეხეთი | 1.45 |
| 18:00 | აშშ | 2.50 |

**ჯგუფი F 9606**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | ავსტრალია | 3.00 |
| 18:00 | ხორვატია | 1.70 |
| 18:00 | ბრაზილია | 1.02 |
| 18:00 | იაპონია | 3.20 |

**ჯგუფი G 9607**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | შვეიცარია | 1.50 |
| 18:00 | ს. კორეა | 2.70 |
| 18:00 | ტოგო | 5.00 |
| 18:00 | საფრანგეთი | 1.08 |

**ჯგუფი H 9608**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | ესპანეთი | 1.10 |
| 18:00 | უკრაინა | 1.40 |
| 18:00 | ტუნისი | 2.50 |
| 18:00 | ს არაბეთი | 8.00 |

### ვინ მიიღებს პირველ გაფრთხილებას (ყ/ფ) (ძირ. დრო)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 21015 | იტალია-განა | 1.90 | 10.00 | 1.70 |
| 21017 | ჩეხეთი-აშშ | 1.90 | 10.00 | 1.70 |
| 21018 | იაპონია-ავსტრალია | 1.80 | 10.00 | 1.80 |
| 21019 | ს.კორეა-ტოგო | 1.90 | 10.00 | 1.70 |
| 21020 | საფრანგეთი-შვეიცარია | 1.90 | 10.00 | 1.70 |
| 21021 | ბრაზილია-ხორვატია | 1.90 | 10.00 | 1.65 |
| 21023 | ესპანეთი-უკრაინა | 1.90 | 10.00 | 1.70 |
| 21024 | ტუნისი-ს.არაბეთი | 1.90 | 10.00 | 1.70 |

### იქნება თუ არა მატჩში პენალტი (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 23015 | იტალია-განა | 3.10 | 1.25 |
| 23017 | ჩეხეთი-აშშ | 3.30 | 1.22 |
| 23018 | იაპონია-ავსტრალია | 3.10 | 1.25 |
| 23019 | ს.კორეა-ტოგო | 3.10 | 1.20 |
| 23020 | საფრანგეთი-შვეიცარია | 3.10 | 1.20 |
| 23021 | ბრაზილია-ხორვატია | 3.20 | 1.25 |
| 23023 | ესპანეთი-უკრაინა | 3.30 | 1.22 |
| 23024 | ტუნისი-ს.არაბეთი | 3.20 | 1.25 |

გაიხსნა კროკოს ახალი ბიუროები: თბილისი – მოსკოვის გამზირი №6; ზესტაფონი – აღმაშენებლის №39; გარდაბანი – აღმაშენებლის №12

### გავა თუ არა სწრაფი გოლი მჩ 2006 ში (2 წთ). 9 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 18:00 | 9701 | 1.32 | 2.05 |

### მჩ 2006 ში გატანილი გოლების რაოდენობა (ძირ დრო) 9 ივნისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 18:00 | 9702 | 160,5 | 1.80 | 1.80 |

### მჩ 2006 პენალტების რაოდენობა (ძირ დრო) 9 ივნისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 18:00 | 9801 | 16,5 | 1.90 | 1.80 |

### მჩ 2006 გოლი საკუთარ კარში (ძირ დრო) 9 ივნისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 18:00 | 9802 | 3,5 | 1.70 | 1.90 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა









# ღამე ოპერაში

„ღამე ოპერაში“ — ლეგენდარული „ქუინის“ ლეგენდარული ალბომი გუშინ არავის გადმოუქართულებია, უბრალოდ, ოპერამ ქართულ საფეხბურთო საღამოს უმასპინძლა.

ძალიან ცოტა საღამოს კაბა და კოსტუმი, უფრო მეტი ჯინსი და კედი — თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში მისთვის უჩვეულო ღონისძიება იყო — მოთამაშეებს, მწვრთნელებს და ფეხბურთში მოსაქმე სხვა ხალხს აჯილდოებდნენ. საღამო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის და მისი სუბიექტის, პროფესიული ფეხბურთის ლიგის მიერ იყო ორგანიზებული.

„დია 2006“ — ასე ერქვა გუშინდელ საღამოს. 2005-06 წლების სეზონის საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი და საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი — ამ ორ ნომინაციაში რჩეულები ფეხბურთის სპეციალისტებმა დაასახელეს, ხოლო დანარჩენებში საუკეთესოები ჟურნალისტთა გამოკითხვის შედეგად გაირკვა.

სპეციალისტთა აზრით, საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი **შოთა არველაძე** გახდა — მას პრიზი პროფლიგის პრეზიდენტმა დიმიტრი რამიშვილმა გადასცა. არველაძის კონკურენტები კახა კალაძე და ლევან კობიაშვილი იყვნენ.

„მადლობას ვუხდი კალაძეს და კობიაშვილს, ასეთი ფეხბურთელები ჩვენი სიმდიდრეა. კიდევ უფრო მეტი კალაძე და კობიაშვილი შეგვმატებოდეს. ისე კი, უგოლოდ არაფერი გამოვა“ — სამადლობელ სიტყვას ესეც მიაყოლა არველაძემ.

სამი პრიზი გადასცეს საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატების საუკეთესო მეგოლეს, ლიხსიქითა ვარსკვლავ **ზურაბ იონანიძეს** — ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და ფორვარდი; კიდევ მისი „ზესტაფონისთვის“ განკუთვნილი ჯილდო — მე-17 ეროვნულში ყველაზე ხანგრძლივი წაუგებელი სერიისთვის.

ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო მეკარე: **გრიგოლ ჭანტურია** („ზესტაფონი“) — პრიზი მას ოთარ გაბელიამ გადასცა.

საუკეთესო მცველი: ამერელი **ვახტანგ ხვადაგიანი** ალექსანდრე ჩივაძემ დააჯილდოვა.

საუკეთესო ნახევარმცველი: ვიტ ჯორჯიელი **დავით იმედაშვილის** პრიზი „ვიტ ჯორჯიას“ გენერალურმა მენეჯერმა მალხაზ კაკაურიძემ ჩაიბარა, რადგან იმედაშვილი ახლა კიევის „დინამოშია“ გასინჯვაზე.

იონანიძეს კი საუკეთესო თავდამსხმელის ჯილდო არჩილ არველაძემ გადასცა.

საუკეთესო მწვრთნელი: აღიარება ჩემპიონ ბოლნისის „სიონის“ თავკაც **კახა ცხადაძეს** ერგო და მას პრიზი სპორტის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა უბოძა.

ჩემპიონატის საუკეთესო მსაჯი **გიორგი ვადაჭკორია** გახდა, ვინც სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა დააჯილდოვა.

მე-17 ეროვნული ჩემპიონატის აღმოჩენა: საუკეთესო ამ ნომინაციაში თბილისის „დინამოს“ ნახევარმცველი **სანდრო კობახიძე** შეიქნა — ის თვით კახა კალაძემ დააჯილდოვა.

ეროვნული ჩემპიონატის აღმოჩენა, საუკეთესო მსაჯი, მეკარე, მცველი, ნახევარმცველი, თავდამსხმელი და მწვრთნელი — ამ შვიდ ნომინაციაში გამარჯვებულები ჟურნალისტთა გამოკითხვის შედეგად გაირკვნენ და სამადლობელ სიტყვაში მხოლოდ თინეიჯერმა კობახიძემ ახსენა მასმედია.

წლის საუკეთესო საფეხბურთო პროექტი — ეზოს ფეხბურთის ასოციაციის წარმომადგენელი შოთა ბაქრაძე ქალაქის მერმა გიგი უგულავამ დააჯილდოვა.

საფეხბურთო ტელეგადაცემებისთვის პრიზები ერგოთ „საზოგადოებრივი მაუწყებლიდან“ ლაშა ღვალიშვილს და „პირველი სტერეოდან“ მიხეილ ჯორბენაძეს.

საღამოს წამყვანებმა, დუტა სხირტლაძემ და ეკა ნიჟარაძემ კი საგაზეთო ჟურნალისტიკის წვლილიც აღნიშნეს.

ღონისძიებას ეშხი შემატა ფოლკლორულ ანსამბლ „ერისიონის“ ორმა ნომერმა და ოპერის სოლისტების, ნინო ლეჟავასა და გია ონიანის იტალიურმა რომანსმა.

საღამოს ბოლოს კი პარტერი, იარუსი და ლოჟა ფეხზე წამოდგა — მერაბ სეფაშვილმა საქართველოს ჰიმნი იმღერა.

**დავით თავართქილაძე**

*გურამ დოლენჯაშვილის ფოტოები*



გრიგოლ ჭანტურია



ვახტანგ ხვადაგიანი



სანდრო კობახიძე



კახა ცხადაძე



გიორგი ვადაჭკორია

# ტოპმიოლერმა დილომში ქვიშა მოითხოვა

## დიადორას განაჩენს ფეხბურთელები გამოუტანენ

**რამდენიმე** დღის წინ გაცნობეთ, რომ ფიფას პროგრამების მენეჯერის, ევა პასკიეს დონეზე გადაწყდა საქართველოში პროგრამა „გოლი 2“-ის შეჩერება. როგორც შევიტყვეთ, გადაწყვეტილება იმის გამო მიიღეს, რომ პროგრამით ხელოვნურსაფარიანი სტანდარტული საფეხბურთო მოედნის მოსაწყობად გამოყოფილი 450 ათასი დოლარის ათვისება დღემდე ვერ ხერხდება.

გუშინ გერმანიიდან დაბრუნდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დელეგაცია, რომელიც ფიფას კონგრესში მონაწილეობდა, მანამ კი ფიფას და უეფას წარმომადგენლებთან გამართა შეხვედრები.

გუშინვე კონგრესის მსვლელობის და საქართველოში პროგრამა „გოლი 2“-ის პერსპექტივების თაობაზე ფეხბურთის ფედერაციის გენმდივან უჩა უგულავას დავეკითხეთ. მისი თქმით, ინფორმაცია „გოლი 2“-ის შეჩერების შესახებ გაზვიადებულია. პროექტის რეალიზება ქართული მხარის სურვილით გადაიდო, რასაც ობიექტური მიზეზები ჰქონდა. თავდაპირველი გეგმით, ხელოვნურსაფარიანი მოედანი ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ „ბასაში“ უნდა გაკეთებულიყო, მაგრამ რადგან ჯერაც არ არის საბოლოოდ გარკვეული ახალი ტექნიკური ცენტრის მშენებლობის საკითხი, ფედერაცია არ ჩქარობს ამ თანხის ათვისებას. უახლოეს ორ კვირაში ფედერაცია დაასრულებს მოლაპრაკებას სავარაუდო პარტნიორებთან საგურამოში ახალი ბაზის მშენებლობის თაობაზე და თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა, ხელოვნურსაფარიანი მოედანიც იქ მოეწყობა.

თუ საგურამოში ახალი ბაზის მშენებლობა არ დაიწყება, ფეხბურთის ფედერაცია ამის შემდეგლა დააგებს ხელოვნურ საფარს „ბასაში“. საამისოდ კი საკმაოდ მასშტაბური სამუშაოებია ჩასატარებელი — მოსაჭრელი და გასატანია მიწის დიდი მასა, წინაალმდეგ შემთხვევაში კი მოედნის სიგრძე 90 მეტრამდე უნდა შემცირდეს.

ერთი სიახლეც: საქართველოს ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა ფედერაციის ხელმძღვანელობას ქვიშიანი მოედნის მოწყობა სთხოვა და თუ ხელოვნური საფარი საგურამოში გადაინაცვლებს, ქვიშიანი დილომში გაკეთდება.

უჩა უგულავას ფედერაციის ტექნიკურ სპონსორთან მიმდინარე მოლაპარაკებებზეც დავეკითხეთ. მისი თქმით, „დიადორამ“ წინადადებები უკვე გამოგზავნა, ფედერაციამ კი მასში გარკვეული კორექტივები შეიტანა. ბოლო სიტყვა მაინც ეროვნული ნაკრების წევრებისაა — ფედერაციის ხელმძღვანელობა „დიადორას“ პასუხს მხოლოდ იმათი აზრის გათვალისწინებით ეტყვის, ვინც უშუალოდ უნდა ისარგებლოს ამ ფირმის ნაწარმით.

**გიორგი ნოზაძე**



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო



# ვილაპარაკოთ ბალახზე

## ეროვნულმა კორეულად გამოიხედა

„დინამო ინვესტმა“ ეროვნული სტადიონის რეაბილიტაციასთან დაკავშირებული მორიგი კონტრაქტი გააფორმა. ინვესტორი ორგანიზაციის და ახლა უკვე ეროვნული სტადიონის დირექტორი ირაკლი მეძმარიაშვილი ჩინეთიდან შაბათს დაბრუნდა — ჩინეთში გაფორმებული კონტრაქტის თანახმად, ეროვნულ სტადიონს ელექტროტექნიკით კორეული „სამსუნგი“ უზრუნველჰყოფს.

ამას გარდა ირაკლი მეძმარიაშვილს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელთა განცხადებაზეც ვთხოვეთ აზრის გამოთქმა. „სარბიელთან“ ინტერვიუში ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა გოგი ქავთარაძემ განაცხადა, რომ ფედერაცია „ეროვნულზე“ ქანდის მეურნეობის ბალახის საფარის დაგების წინააღმდეგია და თანხმობას მხოლოდ მაღალი ხარისხის გარანტიის შემთხვევაში იტყვის. ირაკლი მეძმარიაშვილმა ჩვენი ინფორმაცია გაიკვირვა — პირველად მესმისო. თუმცა ამის ახსნა მისი ჩინური ვიზიტითაც შეიძლება.

იმედია, ფეხბურთის ფედერაციისა და „დინამო ინვესტის“ წარმომადგენლები უახლოეს მომავალში შეაჯერებენ პოზიციებს და ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხში აზრთა სხვაობა არ შეაფერხებს ეროვნული სტადიონის რეაბილიტაციის პროცესს.

**გიორგი ნოზაძე**

# დემე დაბრუნდა და დასაბრუნებელს ელის



**დონეცკის** „მეტალურგი“ საახალსეზონოდ შეიკრიბა და ბაზაზე გამოჩნდა გიორგი დემეტრაძეც — დონეცკელთა ძველი იმედი და კლუბის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი ებრაული თელ ავივის „მაკაბიდან“ დაბრუნდა „მეტალურგში“.

ჯერჯერობით დონეცკში არ გამოჩენილან ლევან ცქიტიშვილი და დავით კვირკველია. მართალია, ამ ფეხბურთელთა საკითხი ბოლომდე გადაწყვეტილი არაა, თუმცა როგორც ამბობენ, ტრანსფერებს ბევრიც არაფერი უდგას წინ.

შეგახსენებთ: გერმანულ „ვოლფსბურგში“ გადასვლამდე ცქიტიშვილი სწორედ „მეტალურგში“ ირიცხებოდა. კვირკველია კი ბოლოს ზაპოროჟიეს „მეტალურგში“ თამაშობდა, თუმცა სეზონის დასრულებისთანავე კონტრაქტი დაუმთავრდა და...

**კახა შალამბერიძე**

# დინამომ კილიკია უკვე ნახა

**ქართული** კლუბებიდან ევროსეზონი ყველაზე ადრე თბილისის „დინამოს“ ეწყება — 18 ივნისს დინამოელები ერევანში იქაურ „კილიკიას“ გაეჯიბრებიან ინტერტოტოს თასის პირველი ეტაპის პირველ შეხვედრაში.

მანამდე კი სომხეთის დედაქალაქში გაემგზავრნენ „დინამოს“ ხელმძღვანელობა და ვიდეოოპერატორი — ისინი გუშინ სომხეთის ჩემპიონატში „კილიკია“ — „არარატის“ თამაშს დაესწრნენ და დღეს თბილისში დაბრუნდებიან.

მოკლედ, „დინამომ“ „კილიკია“ საქმეში ნახა. სომხეთის ჩემპიონატში ახლა შესვენება არაა და ეს არცთუ მცირე უპირატესობას აძლევს „კილიკიას“, რადგან „დინამოს“ ახლა, ფაქტობრივად, მოსამზადებელი პერიოდი აქვს. ჰოდა, დინამოელებსაც განსაკუთრებული სიფრთხილე მართებთ „კილიკიასთან“ და მათაც ზედმეტად არ ჩაუთვლიათ მეტოქის დაზვერვა.

**დავით თავართქილაძე**



კახა კაჭარავას „დინამო“ „კილიკიასთან“ მატჩისთვის ემზადება

# ხოჯავას კრილიას ავსტრიამდე ეჭყვიან



**21 წლის** გოჩა ხოჯავა რუსული პრემიერლიგის „კრილია სოვეტოვში“ რომ არის გასინჯვაზე, წინა „სარბიელშიც“ გაუწყეთ. ახალი კი ისაა, რომ გოჩამ „კრილიაში“ პირველი ტესტ-მატჩი ითამაშა. სამარელები ქვედალიგელ ტოლიატის „ლადას“ გაეჯიბრნენ — შეხვედრა 1:1 დასრულდა. ხოჯავამ მეორე ტაიმში ითამაშა შემტევი ნახევარმცველის პოზიციაზე და საგოლე პასიც გააკეთა.

ხვალ „კრილია“ ავსტრიაში მიემგზავრება შეკრებაზე. და, შესაძლოა, ხოჯავას ამ გუნდში დარჩენა-არდარჩენა გუნდის ავსტრიაში წასვლამდეც გადაწყდეს.

**ნიკა ჯორჯაძე**

# შავებს ბოლნისისკენ მწვანე აუნთეს

**საქართველოს** ჩემპიონმა ბოლნისის „სიონმა“ მთავარი ფეხბურთელი დაკარგა — ლევან ხმალაძე, რომელიც ჩემპიონებს „დინამოდან“ ჰყავდათ ნათხოვარი, თბილისში დაბრუნდა და დიღმის ბაზაზე ვარჯიშობს. ჯერჯერობით საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის, ხმალაძე „დინამოში“ დარჩება თუ არა. ყოველ შემთხვევაში, დღესდღეობით ის „სიონთან“ ერთად არ არის.

უკვე ძველი ამბავია, თუმცა მაინც შეგახსენებთ, რომ წინა სეზონის დამთავრების შემდეგ „სიონიდან“ მიხეილ ხუციშვილიც აიბარგა და თამაშის გაგრძელება მანაც „დინამოში“ არჩია. წასული ფეხბურთელების სანაცვლოდ კი ბოლნისელები ზეგ ერთბაშად ოთხ კამერუნელს შეიმატებენ, რომლებმაც, როგორც იქნა, ქართული ვიზები მიიღეს და საქართველოში ჩამოვლენ. „სიონში“ გასასინჯად ერთი ნიგერიელიც უნდა მისულიყო, მაგრამ მის ნაცვლად ბოლნისელებმა კიდევ ერთი კამერუნელის მიწვევა ამჯობინეს. ამ უცხოელებს „სიონი“ კონტრაქტებს გაუფორმებს თუ არა, ჯერჯერობით უცნობია. თუმცა რამე გაუთვალისწინებელი თუ არ მოხდა, გუნდი აფრიკელებს იალტურ ორკვირიან შეკრებაზე წაიყვანს. ბელარუსიდან დაბრუნებული ნახევარმცველი გია თოდუა კი, გეცოდინებათ, უკვე რამდენიმე დღეა, „სიონთან“ ერთად ვარჯიშობს.

სხვა წამსვლელ-მომსვლელებზე ბოლნისიდან ჯერ არაფერი ისმის. იალტაში პირველ მოსამზადებელ შეკრებაზე კი ბოლნისელები შაბათს მიემგზავრებიან...

ამასობაში ბოლნისის „თამაზ სტეფანიაზე“ მოედანი უკვე გადათხარეს და, როგორც გვითხრეს, ამ კვირაშივე ახალი გაზონის დაგება დაიწყება.

**კობა ინასარიძე**

# შაშიაშვილის პირველი ტესტი

## ჩერნომორეცმა ქართველები შეკრიბა



**ოდესის** „ჩერნომორეცმა“ მოსამზადებელი ეტაპის პირველი ტესტ-მატჩი გამართა და გიორგი შაშიაშვილის არაოფიციალური დებიუტიც შედგა — „ჩერნომორეცმა“ მოლდოვის მესამეადგილოსან „ტირასპოლს“ 5:2 აჯობა.

უკრაინულ გუნდში სამივე ქართველმა ითამაშა — ილია კანდელაკი და კახა მჟავანაძე პირველი ტაიმის მერე შეცვალეს, შაშიაშვილმა კი 65 წუთი გაატარა მოედანზე.

საინტერესოა, რომ ამ სამეულის გარდა მოედანზე კიდევ ერთი ქართველი იყო — „შერიფიდან“ „ტირასპოლში“ განათხოვრებული პავლე ხორგუაშვილი მეორე ტაიმიდან ჩაერთო თამაშში, თუმცა 67-ე წუთზე შეცვალეს.

**კახა შალამბერიძე**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და სამსაჯო კომიტეტი თანაუგრძნობენ ფიფას მსაჯ
მამუკა ელიკაშვილს
**დედის**
გარდაცვალების გამო

## როლან გაროსი 2006. პარიზი. თიხნარი. საპრიზო 8 137 652 $

# ჟუსტინი უკვე ლეგენდაა

10 ივნისი

ქალები

ფინალი

**ჟუსტინ ენენ-არდენი (5, ბელგია) — სვეტლანა კუზნეცოვა (8, რუსეთი) 6:4 6:4**

ჟუსტინ ენენ-არდენმა დაამტკიცა, რომ მოცემულ მომენტში მისი დარი ქალთა ჩოგბურთში არ არსებობს. ბელგიელმა მთელი ტურნირი უმაღლეს დონეზე გაიარა და ისე მოიგო, რომ სეტიც კი არ წაუგია. ენენი მხოლოდ ერთხელ, ბელორუს ანასტასია იაკიმოვასთან შეხვედრაში აღმოჩნდა სეტის წაგების საშიშროების წინაშე და მაშინაც წარმატებით გაანეიტრალა მეტოქის სამი სეტ პოინტი.

უკანასკნელად ასე, სეტწაუგებლად „როლან გაროსზე" 12 წლის წინ არანტა სანჩეს-ვიკარიოს უმარჯვია.

ენენმა ფინალიც ზედმეტი პრობლემების გარეშე მოიგო და სვეტლანა კუზნეცოვას მისხალი შანსიც კი არ მისცა. პირველ სეტში ბელგიელმა თავიდანვე ხელთ იგდო მატჩის სადავეები, მალე გააკეთა საჭირო ბრეიკები და ეს უპირატესობა კარგადაც გამოიყენა. მეორე პარტია რუსმა კარგად კი დაიწყო და 2:0 წინ გაიჭრა, მაგრამ შემდეგ ენენმა ნახევარსაათიანი სპურტი მოაწყო, ეს ეპიზოდი 5:1 მოიგო და გადამწყვეტი უპირატესობაც მოიპოვა.

„გადამწყვეტ მომენტებში უკეთესად ვითამაშე. შეიძლება, საუკეთესო თამაში არ მიჩვენებია, მაგრამ მაინც ხომ მოვიგე, მთავარი კი ეს არის. 20 წელი ჩოგბურთს შევწირე და ეს გამარჯვებები ჩემს მიერ გაწეული შრომის ანაზღაურებაა" — ხარობდა ნამატჩევს ენენი.

ჟუსტინმა „როლან გაროსზე" ზედიზედ მეორედ, საერთოდ, კი მესამედ მოახერხა გამარჯვება. ბოლოს პარიზში ტიტულის დაცვა შტეფი გრაფმა შეძლო 1996 წელს. ხოლო საფრანგეთის ღია პირველობა სამჯერ ბელგიელამდე მხოლოდ ხუთ ჩოგბურთელს — მარგარეტ კორტს, კრის ევერტს, შტეფი გრაფს, მონიკა სელეშს და არანტა სანჩეს ვიკარიოს მოეგოთ. შაბათის შემდეგ ენენიც ამ ლეგენდარულ ხუთეულს გაუტოლდა.



## ჟუსტინ ენენ-არდენი

დაიბადა 1982 წლის 1 ივნისს ლიეჟში. ბელგიის მოქალაქეა, ცხოვრობს მარლოიში. სიმაღლე 168 სმ. წონა 57 კგ. პროფესიონალია 1999 წლიდან. კარიერაში ჩატარებული 398 მატჩიდან 315 მოიგო. მოპოვებული აქვს ერთეულთა 26 (მათ შორის 5 დიდი სლემის: როლან გაროსი 2003, 2005, 2006, ავსტრალიის ღია პირველობა 2004, ამერიკის ღია პირველობა 2003 და წყვილთა 2 ტიტული. საპრიზოების სახით მიუღია 11 228 107 ამერიკული დოლარი.

### ჟუსტინ ენენ-არდენი როლან გაროს 2006-ზე

| | | |
|---|---|---|
| I წრე: | ენენ-არდენი — მარეტ ანი (ესტონეთი) | 6:3 6:0 |
| II წრე: | ენენ-არდენი — ანასტასია იაკიმოვა (ბელარუსი) | 6:2 7:5 |
| III წრე: | ენენ-არდენი — ტატიანა გარბინი (იტალია) | 6:4 6:0 |
| IV წრე: | ენენ-არდენი — ანასტასია მისკინა (10, რუსეთი) | 6:1 6:4 |
| 1/4ფინალი: | ენენ-არდენი — ანა-ლენა გრონეფელდი (13, გერმანია) | 7:5 6:2 |
| 1/2ფინალი: | ენენ-არდენი — კიმ კლაისტერსი (2, ბელგია) | 6:3 6:2 |
| ფინალი: | ენენ-არდენი — სვეტლანა კუზნეცოვა (8, რუსეთი) | 6:4 6:4 |

# რაფაელი თიხაზე ხატავს

11 ივნისი

კაცები

ფინალი

**რაფაელ ნადალი (2, ესპანეთი) — როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) 1:6 6:1 6:4 7:6**

„დიდი სლემი" არ შედგა — როჯერ ფედერერმა ამის მშვენიერი შანსი გუშინ გაუშვა ხელიდან. შვეიცარელ გენიოსსაც გამოუჩნდა თავისი ბოროტი გენია, რომლის სახელიც რაფაელ ნადალია. 20 წლის ესპანელმა არსად გაახარა ალპელი — შვეიცარელმა წელს 47 მატჩი მოიგო და მხოლოდ 4 დათმო, თან ოთხივე ნადალთან.

ყველაზე მტკივნეული კი უდავოდ გუშინდელი წაგება იყო. როგორც აღმოჩნდა, ძალიან ბევრი რამ იყო დამოკიდებული ამ ერთ გამარჯვებაზე — „დიდი სლემის" შეგროვება დიდი ტვირთი აღმოჩნდა, იმდენად დიდი, რომ ფედერერის ფართო მხარბეჭმაც ვერ ზიდა. შვეიცარელმა ხომ დიდწილად საკუთარი შეცდომების გამო წააგო. შეცდომები კი როჯერმა ძალიან ბევრი დაუშვა — ხანდახან ამდენის უფლებას ის თავის თავს მთელი ტურნირის განმავლობაშიც კი არ აძლევს.

მაგრამ მოდით, ფედერერს თავი დავანებოთ და ტრიუმფატორზე გადავიდეთ — ნადალს არ უნდა დაეკარგოს დიდი შრომა, მყარი ფსიქოლოგიური მომზადება და ულამაზესი თამაში.

პირველი სეტის უიმედოდ წაგების შემდეგ (1:6) ნადალი მიხვდა, რომ რაღაც უნდა შეეცვალა — ფედერერთან ისეთივე თამაშით ფონს ვერ გავიდოდა, როგორითაც პოლ-ანრი მატიოსა და ლეიტონ ჰიუიტს გასცდა. ამიტომ ესპანელმა მზეჭაბუკმა ტემპსა და აქტიურობას უმატა. მთავარი კი ის არის, რომ თავისთვის ჩვეული პასიური ჩოგბურთის მაგივრად შეტევაზე გადავიდა.

ნადალმა ტემპს უმატა, ფედერერმა კი შეცდომებს. მეორე სეტიდან მოყოლებული ინიციატივას თავიდან ბოლომდე ესპანელი ფლობდა და ეს მაშინ, როცა „მხიარულ როჯერს" არც თუ სამხიარულოდ ჰქონდა საქმე — მას ხომ კორტზე არაფერი გამოსდიოდა.

ფედერერმა მხოლოდ მეოთხე სეტის ბოლოს გაიბრძოლა, როცა რის ვაი-ვაგლახით საქმე ტაი-ბრეიკამდე მიიყვანა, მაგრამ ნადალი აქაც მშვიდად თამაშობდა, მისი დიდი მეტოქე კი კვლავაც ბევრს სცოდავდა. საბოლოოდ, ლამაზად გათამაშებული კომბინაციის შემდეგ პირინეელი პარიზულ თიხნარზე გაიშხლართა და სიხარულით გაბრუებული კარგა ხანს არც წამომდგარა.

ასეა თუ ისე, ნადალმა თავისი ადგილი უკვე მყარად დაიმკვიდრა ისტორიაში — აქამდე არ ყოფილა, რომ დებიუტანტს „როლან გაროსზე" ემარჯვოს, მომდევნო წელს კი ტიტული დაეცვას. მოკლედ, ამიერიდან ნადალს გინდ გრუნტის მეფე, გინდ იმპერატორი და გინდ პაპი დაუძახონ — ეს ბიჭი ყველანაირ სახელსა თუ თიკუნს იმსახურებს, რადგან აგერ უკვე ორი წელი და 60 მატჩია, მსოფლიოს სათიხნარო კორტებს გამარჯვებულის მანტიით ტოვებს.

**ბაჩა ლომჯარიძე**



როჯერ ფედერერის სასლემო ოცნება სამომავლოდ გადაიდო



## რაფაელ ნადალი

დაიბადა 1986 წლის 3 ივნისს მალიორკაში. ესპანეთის მოქალაქეა, ცხოვრობს მალიორკაში. სიმაღლე 183 სმ. წონა 75 კგ. პროფესიონალია 2001 წლიდან. კარიერაში ჩატარებული 201 მატჩიდან 159 მოიგო. მოპოვებული აქვს ერთეულთა 17 (მათ შორის ორი დიდი სლემის: როლან გაროსი 2005, 2006) და წყვილთა 3 ტიტული. საპრიზოების სახით მიუღია 6 836 179 ამერიკული დოლარი

### რაფაელ ნადალი როლან გაროს 2006-ზე

| | | |
|---|---|---|
| I წრე: | ნადალი — რობინ სოდერლინგი (შვედეთი) | 6:2 7:5 6:1 |
| II წრე: | ნადალი — კევინ კიმი (აშშ) | 6:2 6:1 6:4 |
| III წრე: | ნადალი — პოლი-ანრი მატიუ (29, საფრანგეთი) | 5:7 6:4 6:4 6:4 |
| IV წრე: | ნადალი — ლეიტონ ჰიუიტი (14, ავსტრალია) | 6:2 5:7 6:4 6:2 |
| 1/4ფინალი: | ნადალი — ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 6:4 6:4 (უარი) |
| 1/2ფინალი: | ნადალი — ივან ლიუბიჩიჩი (4, ხორვატია) | 6:4 6:2 7:6 |
| ფინალი: | ნადალი — როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) | 1:6 6:1 6:4 7:6 |



ევროპის ერთა თასი 2006. მეხუთე ტური

## ჩეხეთი 3:24 საქართველო

10 ივნისი. რუიჩანი. «ტატრა»

# საქართველომ ჩეხეთში მსოფლიო გაარკვია

საქართველო: ელიზბარაშვილი, გუგავა (ელოშვილი), გიგაური, ი. გიორგაძე, მაჩხანელი, ჯიმშელაძე, სამხარაძე (კაჭარავა); მაგრაქველიძე (ხინჩაგაშვილი), ა. გიორგაძე, სუჯაშვილი (კოპალიანი), ზედგინიძე (კაპ), გორგოძე (დათუნაშვილი), ი. მაისურაძე (ზ. მაისურაძე), ურუშაძე, უდესიანი (პაპაშვილი)
ულ: გორგოძე (2), ი. გიორგაძე; 3გ: ჯიმშელაძე (2), ელიზბარაშვილი; სა: ი. გიორგაძე
ჩეხეთი: რუდოლფი (ტომჩიკი), იურსიკი (ჩიჟეკი), ეკარეკი, როხლიკი, პახმანი, სნიდალი, დოსედლა (სიროვი); რაპანტი, ოსვალდი (სლუკა), შტიასნი (ბურეში), ნემეჩეკი, ბურიანეკი (ინდრაკ), მადრი, უნდრაშეკი, ჟილა
1 ს: ჟილა

**საშაბათო** მატჩებით დასრულდა ორწრიანი ერთა თასი. საქართველომ ჩეხეთის ძლევით მაინც მეორე ადგილი დაიკავა. ჩემპიონი რუმინეთი შეიქნა, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში 24:25 წააგო და ქულებით საქართველოს გაუტოლდა. კარპატელებმა ჩვენებს ურთიერთშეხვედრებში ბურთების უკეთესი სხვაობით აჯობეს. ერთა თასის მეორე ადგილით 2007 მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირის ბოლო მეხუთე რაუნდში საქართველო რუმინეთთან და ჩეხეთ-ესპანეთს შორის უკეთესთან მოხვდება სამგუნდა ჯგუფში. ჯგუფში გამარჯვებული პირდაპირ გადის მსოფლიოს თასზე. მეორე ადგილოსანი კი იტალია, პორტუგალია და რუსეთ-უკრაინას შორის უკეთესს მეორე ადგილოსანს შეხვდება. ჩვენები 7 ოქტომბერს სტუმრად ეთამაშებიან რუმინეთს. თბილისში კი ჩეხეთ-ესპანეთის გამარჯვებულს უმასპინძლებენ.

ერთა თასიდან კი გავარდა მაჩანჩალა უკრაინა, ვის ადგილსაც ორწლიანი პაუზის შემდეგ ისევ ესპანეთი დაიკავებს.

### ერთა თასი 2005-06

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 8 | 0 | 2 | 16 | +294 |
| საქართველო | 8 | 0 | 2 | 16 | +228 |
| პორტუგალია | 6 | 1 | 3 | 13 | +20 |
| რუსეთი | 4 | 1 | 5 | 9 | +88 |
| ჩეხეთი | 3 | 0 | 7 | 6 | -132 |
| უკრაინა | 0 | 0 | 10 | 0 | -498 |

### 21-წლამდელთა მსოფლიოს თასი
საფრანგეთი. I ტური

**საქართველო 25:73 უელსი**

ფორმულა 1. 57-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მერვეე ეტაპი

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

# ალონსოს მეორე მივულოცოთ?


AFP

**ბუნებრივია,** ბევრიც არაფერია სათქმელი რბოლაზე, როცა საათნახევრიანი ჯირითისას პრაქტიკულად გასწრება არ ყოფილა, ხოლო დასაწყისში რალფ შუმახერისა და მარკ ვებერის მსუბუქი შეჯახება ერთადერთი ინციდენტი გახდა.

შაბათს კვალიფიკაცია ფერნანდო ალონსომ მოიგო, ზედიზედ მეოთხედ, როცა ბოლო წამებზე აჯობა მიხაელ შუმახერს. ნანდომ სტარტზეც ადვილად შეინარჩუნა მეწინავეობა და ბოლომდეც არავისთვის დაუთმია, ბუნებრივია, საბოქსე შეყოვნების ჩაუთვლელად. ასე რომ, ალონსომ დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი ჰეთ თრიქით მოიგო და ოთხწლიან კარიერაში მე-13 დიდი პრიზი დაისაკუთრა.

საფინალო ბრძოლამდე კი ისაა აღსანიშნავი, რომ მიხაელ შუმახერმა ზუსტად გათვლილი და ოსტატურად შესრულებული საბოქსე ტაქტიკით ტრასაზე კიმი რაიკონენის წინ დაბრუნდა და ფინიშამდე შეინარჩუნა მეორე პოზიცია. თუმცა რა თქმა უნდა, ეს შუმის საჩემპიონო ბრძოლაში უკანდახევაა და დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ალონსოს ზედიზედ მეორე გვირგვინს უკვე ველარავინ შეეცილება.

**გია ახალაძე**

### რბოლის შედეგები

**დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი**
**11 ივნისი. სილვერსტოუნი**
დისტანცია 60 წრე — 308,355 კმ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | (1) | ალონსო (რენო) | 1:25.4,1 (215,5 კმ/სთ) |
| 2. | (3) | მ.შუმახერი (ფერარი) | ჩამორჩა 13,9 |
| 3. | (2) | რაიკონენი (მაკლარენი) | 18,7 |
| 4. | (5) | ფიზიკელა (რენო) | 20,0 |
| 5. | (4) | მასა (ფერარი) | 31,6 |
| 6. | (8) | მონტოია (მაკლარენი) | 1.04,8 |
| 7. | (9) | ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი) | 1.11,6 |
| 8. | (10) | ვილნევი (BMW-ზაუბერი) | 1.19,0 |
| 9. | (12) | როსბერგი (უილიამსი) | 1.19,1 |
| 10. | (6) | ბარიკელო (ჰონდა) | 1 წრით |
| 11. | (22) | ტრული (ტოიოტა) | 1 წრით |
| 12. | (11) | კულჰარდი (რედ ბული) | 1 წრით |
| 13. | (13) | ლიუცი (ტორო როსო) | 1 წრით |
| 14. | (14) | კლიენი (რედ ბული) | 1 წრით |
| 15. | (18) | ალბერსი (MF 1) | 1 წრით |
| 16. | (16) | მონტეირო (MF 1) | 2 წრით |
| 17. | (20) | სატო (სუპერ აგური) | 3 წრით |
| 18. | (21) | მონტანი (სუპერ აგური) | 3 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | | |
|---|---|---|
| (19) | ბატონი (ჰონდა) | გაიარა 49 წრე |
| (15) | სპიდი (ტორო როსო) | 1 |
| (7) | რ.შუმახერი (ტოიოტა) | 0 |
| (17) | ვებერი (უილიამსი) | 0 |

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

**პოული**
ალონსო — 1.20,271 (230,57 კმ/სთ)

**საუკეთესო წრე**
ალონსო — 1.21,599 (226,8 კმ/სთ)

| F1 | ბაჰრეინი 12 მარტი | მალაიზია 19 მარტი | ავსტრალია 2 აპრილი | სან მარინო 23 აპრილი | ევროპა 7 მაისი | ესპანეთი 14 მაისი | მონაკო 28 მაისი | დ. ბრიტანეთი 11 ივნისი | კანადა 25 ივნისი | აშშ 2 ივლისი | საფრანგეთი 16 ივლისი | გერმანია 30 ივლისი | უნგრეთი 6 აგვისტო | თურქეთი 27 აგვისტო | იტალია 10 სექტემბერი | ჩინეთი 1 ოქტომბერი | იაპონია 8 ოქტომბერი | ბრაზილია 22 ოქტომბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ალონსო რენო, ესპანეთი | 10 | 8 | 10 | 8 | ■ 8 | ■ 10 | ■ 10 | ■ 10 | | | | | | | | | | | 74 |
| 2 მ. შუმახერი ფერარი, გერმანია | ■ 8 | 3 | – | ■ 10 | 10 | 8 | 4 | 8 | | | | | | | | | | | 51 |
| 3 რაიკონენი მაკლარენი, ფინეთი | 6 | ■ – | 8 | 4 | 5 | 4 | – | 6 | | | | | | | | | | | 33 |
| 4 ფიზიკელა რენო, იტალია | – | 10 | 4 | 1 | 3 | 6 | 3 | 5 | | | | | | | | | | | 32 |
| 5 მონტოია მაკლარენი, კოლუმბია | 4 | 5 | – | 6 | – | – | 8 | 3 | | | | | | | | | | | 26 |
| 6 მასა ფერარი, ბრაზილია | – | 4 | – | 5 | 6 | 5 | – | 4 | | | | | | | | | | | 24 |
| 7 ბატონი ჰონდა, დ. ბრიტანეთი | 5 | 6 | ■ – | 2 | – | 3 | – | – | | | | | | | | | | | 16 |
| 8 ბარიკელო ჰონდა, ბრაზილია | – | – | 2 | – | 4 | 2 | 5 | – | | | | | | | | | | | 13 |
| 9 ჰაიდფელდი BMW ზაუბერი, გერმანია | – | – | 5 | – | – | 1 | 2 | 2 | | | | | | | | | | | 10 |
| 10 რ. შუმახერი ტოიოტა, გერმანია | – | 1 | 6 | – | – | – | 1 | – | | | | | | | | | | | 8 |

კულჰარდი, ვილნევი — 7, ვებერი — 6; როსბერგი — 4, კლიენი — 1 ქულა

■ პოულ-პოზიცია

**კონსტრუქტორთა თასი:** რენო — 106; ფერარი — 75; მაკლარენი — 59; ჰონდა — 29; BMW ზაუბერი — 17; უილიამსი — 10, ტოიოტა, რედ ბული — 8 ქულა



## პლეი ოფი 2006

10 ივნისი

**ფინალი**

კაროლინა 2:1 ედმონტონი

**ედმონტონი 2:1 კაროლინა**

*1:0 0:0 1:1*

1:0 პორკოფი (3), 1:1 ბრინდამორი (50), 2:1 რ. სმიტი (58)



## რევაზ მაკედონელი

დიდი წარმატებას მიაღწია ქართველმა ხელბურთელმა რევაზ ჭანტურიამ, რომელმაც ორიოლე თვის წინ მოპოვებულ მაკედონიის თასს გუშინწინ ამ ქვეყნის ჩემპიონობაც მიამატა.

„რეაქტიული ცაცია ფრთა", უკვე მეორე სეზონია, რაც სკოპიეს „მეტალურგის" ღირსებას იცავს. გუნდმა მაკედონიის 12-გუნდა ჩემპიონატში პირველი ადგილი დაიკავა და პლეი ოფში ჯერ ბოგდანცის „მლადოსტს" აჯობა, დასკვნით დაპირისპირებაში კი თანასკოპიელ „ვარდარს" სძლია უმძიმეს ბრძოლაში — 2:1.



ეროვნული ბიბლიოთეკა


AFP

# ჰოპკინსმა ქარი ტარვერს მიუჯახუნა

**სწორედ** რომ ჰოლივუდური ფილმის „ჰეფი ენდად" გამოდგება — 41 წლის ლეგენდარულმა საშუალოწონოსანმა ბერნარდ ჰოპკინსმა არანაკლებ კაშკაშა ანტონიო ტარვერი გვემა და ასე წაიძრო ხელთათმანები საბოლოოდ.

არადა, სანამ ეს ორი ბებერი ხარი ერთმანეთს შეასკდებოდა, აბსოლუტურად ყველა ტარვერის იოლ გამარჯვებაზე ლაპარაკობდა. კოეფიციენტიც შესაბამისი დაუწერეს ცრუმოკრივე სტალონესთან „როკის" ბოლო ფილმში ნაჩხუბარ ტარვერს — სამი ერთთან. თავად ტარვერს კრივობამდე ჰოპკინსისთვის შეუცინია, 5 რაუნდში თუ ვერ დაგაგდებ, 250 ათასს იმ ფონდში ჩავრიცხავ, რომელსაც ხელს დაადებო (ჰოპკინსი ხომ ცნობილი ქველმოქმედი გახლავთ). მაგრამ ხუთ რაუნდში ცალი ხელით გამარჯვებას ვინ ჩივის, ფავორიტმა საერთოდ წააგო და ასე გაუშვა პენსიაზე 18 წელი დიდ რინგზე მეომარი, მაგრამ ბოლოს რამდენჯერმე წაქცეული ჰოპკინსი, რომლის გამარჯვებაში ეჭვი არავის შეუტანია. სამივე მსაჯი იდენტური იყო — 118:109 ჰოპკინსის სასარგებლოდ.

41 წლისა კია, მაგრამ ჰოპკინსი შეტევაშიც გაცილებით აგრესიული იყო და თავსაც უფრო მარჯვედ და ოსტატურად იცავდა. ბოლო რაუნდებში ტარვერს მარჯვენა თვალი ისე ჩაეჩქვოდა, აღარც უჩანდა და უკეთეს დღეში არც მარცხენა ჰქონდა.

ხალხმა ალალი პატივისცემით გააცილა დიდი მოკრივე და საერთოდ, მთელი ეს საღამო ჰოპკინსის ბენეფისი იყო — იმპრესარიომ რინგზე აიყვანა მისი ცოლი, დები და, თქვენ წარმოიდგინეთ, მისი ორი სკოლის მასწავლებელიც კი. ასეთ აურაში აბა, როგორ უნდა წაეგო მოხუცებულს?!

მაგრამ იქვე ნამატჩევს ხმები გავრცელდა, ჰოპკინსს იმხელა ჰონორარს შესთავაზებენ, წასვლას გადააფიქრებინებენო. ეს ჰონორარი არც მეტი, არც ნაკლები, 20 მილიონს უდრის, რაც მართლაც ასტრონომიული თანხაა საშუალო წონებში მოკრივესთვის და მის ხსენებაზე ჰოპკინსსაც თვალები უციმციმებს — „ამხელა ფულის გულისთვის საფლავიდანაც კი ავდგები".

**კოტე ყორშია**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაპა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00